უახლოეს თვეებსა და წლებში რუსეთს და მის ხალხს მომეტებული ემოციურობით და შეურაცხყოფილი გადაჭარბებით აღწერენ, როგორც ფანატიკურ მოძულეებს, რომლებსაც ჰომოსექსუალიზმის განადგურება სწყურიათ. პროპაგანდისტული კამპანია ამ თემაზე უკვე დაწყებულია – ინტერნეტში ვრცელდება ვიდეორგოლი, რომელზეც ასახულია რუსი ნუნაცისტები, რომლებიც თავიანთ ამტკრევენ ჰომოსექსუალიზტებს. გამოსახულებას თან ახლავს ცრუ განცხადებები, რომ სწორედ ეს არის თქვენი პოლიტიკის მიზანი.

სინამდვილეში „გეების“ რიტორიკა, რომელიც ჰომოსექსუალიზმისადმი წინააღმდეგობას ნაცისტურის მსგავს გენოციდთან ათანაბრებს, – ნაწილობრივ, იმის მცდელობაა, დამალონ დღევანდელი ჰომოსექსუალური მოძრაობის მახინჯი ფესვები, რომლებიც წინანაცისტურ გერმანიაში იღებს სათავეს. გერმანული ფაშიზმი ჰომოსექსუალიზმის მამაკაცურ მოდელზე ორიენტირებულმა ჰომოსექსუალიზტმა მამაკაცებმა შექმნეს და ავითარებდნენ. ეს იყო მათი რეაქცია ჰომოსექსუალურობის „ქალურ“ მოდელზე, რომლის ფარგლებში ითვლებოდა, რომ ჰომოსექსუალიზტი მამაკაცები კაცის სხეულში ჩაბუდებული ქალის სულები არიან. 1860-იანი წლებიდან დაწყებული, „ფემებმა“, გეების უფლებებისათვის მოძრაობის მამამთავრის კარლ შერის უღრისის მიმდევრებმა, გერმანიაში სოციალისტური საწინააღმდეგო კანონების გაუქმებისათვის მებრძოლი მძლავრი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა შექმნეს.

შეურაცხყოფილებმა იმით, რომ მამაკაცურ ჰომოსექსუალიზმს გამუდმებით აღწერდნენ, როგორც ქალურობას, მამაკაცურობაზე ორიენტირებულმა „ბუნებმა“ საკუთარი მოძრაობა შექმნეს, რომელიც ემყარებოდა სამხედრო საწყისის მამაკაცური კულტის ფილოსოფიას – უმჯობესი სპარტის სიმბოლოს. სწორედ ისინი იყვნენ პირველი გერმანელი ფაშისტები, მათი რიგებიდან წარმოიშვა ჯერ პირველი მსოფლიო ომის ეპისფერპერანგებიანი პროტაგონისტები, ხოლო შემდეგ ნაცისტური პარტია. ეს ფაქტი დაწვრილებით არის დოკუმენტირებული ჩემს წიგნში „ცისფერი სვასტიკა: ნაცისტური პარტიის ჰომოსექსუალური ფესვები“, რომელიც 1995 წელს დაწერე მეცნიერ კევინ ე. აბრამსთან თანაავტორობით.

ამ თანხლებ წერილს თან ვურთავ „ცისფერი სვასტიკის“ (მეოთხე გამოცემა) ახლს ინგლისურ ენაზე ჩემი და ჩემი თანავტორის ავტოგრაფებით. მალე დამთავრდება ამ წიგნის რუსულ ენაზე გამოცემის ხანგრძლივი პროცესი და პირობას გაძლევთ, რომ „ცისფერი სვასტიკის“ რუსულ გამოცემას რუსეთის მთავრობას და მის ხალხს მიუძღვნით. ჩვენთვის პატივი იქნება, გამოვავსავთ მისი პირველი ეგზემპლარი.

კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო, იმისთვის, რომ მტკიცე იცავთ ბუნებრივ ოჯახს, რომელიც ადამიანთა მთელი ცივილიზაციის არსობრივ საფუძველს წარმოადგენს. შესაძლოა, თქვენი ღირებულების მაგალითის წყალობით, თქვენი და ჩვენი ქვეყნების კეთილი ნების ადამიანები საერთო ძალისხმევით კვლავ შეძლებენ კაცობრიობის მომავლის დაცვას ფაშისტური ლევიათანისაგან, როგორც ეს უკვე გააკეთეს მეორე მსოფლიო ომის დროს.

პატივისცემით,
პასტორი სკოტ ლაივლი, სამართლისა და თეოლოგიის დოქტორი

პოეზიის კუთხე

დადგება დრო და...

დადგება დრო და დაეუბნება ყველა ჩემიანს, სამეფო ტახტზე საზეიმოდ მე მოვირთხმები, და ვით გრიგალში ხომადიდინ ცქვიტი ვირთხები, განიბნევიან ვეზირები, როგორც ჩვევია გამყიდველ კასტას... გისოსები მაღალ სასახლის გადაუხერხავთ შუადამით თითქოს ქლიბითო. რა ენადგებათ, არ აწუხებთ მინც ლიბიდო და ყველა მათგანს მოკისკისე ქალთა მასა დღის. იფიქრებ, ფერად პროექტორებს გაუპია ცა მულტი თბილისი, მულტი ფოთი, მულტი ბათუმში მეზღაპრების სასაცილო უღტიმატურით აშინებს წყვილებს... რიყრუამდე ფხიზლობს პიაცა. მე ბავშვობაში დამაფრინდა მხარზე მტრედი და სამარადისოდ დამასხმდა მისი ღუღუნი, ვით საგანგებოდ დარხეული ხმა საუკუნის და ტვირთი, მე რომ ავიკიდე, უცებ მედიდა, მეტიც, შევშინდი, ჭიანჭველის გამბედაობა არ მეყო, რადგან თვალსაწიერს ნისლი ებურა, რაც არ მომცემდა ნებას, ბინდშიც მეველო მეფურად და ჭაობს მიდმა გამეყვანა კოჭლი თაობა. რადგან საჩემოდ ტვირთს იმჟამად სულაც არ ვთვლიდი და არც ვიცოდი, ის სანამდე უნდა მეზიდა, მით უფრო, როცა ცხადი გახდა ანამნეზიდან, რომ ჭაბუკ მუხლებს ემუქრება მკაცრი ართითი. ახლა ამაზე ლაპარაკი თითქმის არცა დირს, მას აქეთ უკვე მერამდენე წელი გავიდა, ცხუმშიც, ცხინვალშიც ამოიღეს სათვალავიდან და ყარაბაღსაც, ბევრს რომ ჰკითხო, ჰქვია არცაბი. ტვირთი კი დარჩა... ის აღმოჩნდა მართლა სამეფო და ჩემს სიფრთხილეს გამართლება კიდევ ჰქონია, რომ უარყვავი მალემრწმენთა კაკაფონია, რომ დადღილ სულში კვლავ სამების მადლი სამეობს. მე ავიცილე მეგობრობა ნაყარწყართა, გზა-გზა უაზრო ბორიალი, ფსკერზე დაშვება, თუმც სადეთო სითხე, მართლაც ჩვენი ღხენა და შეება, ვერ ვსვი ყოველთვის, როცა მსურდა, ნათელ ბუხართან. მთავარი სხვაა: დავიცავი წესი და რიგი, ალგვეთე ბილწი თავნებობა ბოლმისმნთხეველთა და უზუნაეს, მირონცხებულ საკურთხეველთან ქედდარეკილმა მივიტანე წმინდა ტარიგი. მე სატყუარა არაერთხელ შემომთავაზეს, მაგრამ ყოველთვის მეფო ძალა, მეთქვა უარი. ჩამავალ მზეზე რომ ბრჭყვიალდება, იგი თუ არი, არ შეგაჩნონ ვინმე თქვენგანს ფინჯან ყავაზე! დღეს ცოტა ვინმე ჭირს საკუთარ თავზე თუ იღებს, და ამიტომაც ადვილია გარჩევა ბრბოში იმ ერთადერთის, ვინც მორბო ზღაპრული ქოში და სიქველეთა ხოტბის შესხმა ანდო დრუიდებს. თითქოს სპექტაკლი დაიწყო და პირველ აქტზე ვარ, მე სამეზის თორმეტს ყველა უცხოს, ყველა ჩემიანს ეულოცავ, როგორც მთავარ ჯილდოს, მთავარ პრემიას: კვლავ ათასი წლით გადაიდო ქვეყნის დაქცევა.

რატულ ჩილაჩაგა

ჯალალონია-ჯალალნიების ბვარის დალოცვა
2014 წლის 25 მაისს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს ჯალალონია-ჯალალნიების გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც „**ლიბერთი ბანკში**“ გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640** (როლანდ ჯალალნიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა ჯალალონია-ჯალალნიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხონ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახულებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალალნიას).**

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-236

მსოფლიოს 14 ორიგინალური ანბანიდან ერთ-ერთი ქართულია. ორიგინალური ანბანი არა აქვთ გერმანელებს, ინგლისელებს, ფრანგებს, ესპანელებს. ქართველებს აქვთ ორი: ასომთავრული და მხედრული. სრულიად შესაძლებელია და არა მარტო შესაძლებელია, არამედ ნამდვილად, კოლხეთის მხედრული ანბანი "კოლხური ანბანი" და ასევე, ალბათ, "კოლხურ ანბანს" (გავიხსენოთ "ფესტის დისკო").

არსებობს თეოლოგიური მითოლოგია, რომ კოლხეთი მზის ღმერთის ჰელიოსის შვილის სამეფოა და თუ ეს ასეა, მაშინ კოლხეთის მეფის აიეტის მამა – მზის ღმერთი ჰელიოსი მთელ მსოფლიოს ანათებს.

ცნობილია კოლხური კოსმოგენური ეპოსი (ზემოთაღვანი ვახუშტის სხვა კონტექსტში): „ბუა დიდა რქიმი, თოთა – მუმაჩქიმი...“ – ხალხი, რომელსაც დედაც და მამაც ცაში ჰყავს, დები და ძმები კოსმოსში, ვიმეორებ, ჰიპოთეზის სახით, შეიძლება დაეყენებულ იქნეს საკითხი – თვითონაც ხომ არ არის ციდან და კოსმოსიდან „ჩამოსული“ დედაშიწაზე? კოსმოსს ვლ. ალფენიძე ცნობილია – კოლხებს უხენავს ღმერთებზე ჰყავდათ მიწიერი დედაშიწა – გეა და ცა – ურანოსი. აპოლონიოს როლოსელის მიხედვით მეფე თავის დას ქალკოპსს შემდგომად ეფიცება: „დავიფიცე დედაშიწა და ცა...“ და ა. შ. კოლხთა უდიდესი საფიცარი მიწა და ცა ყოფილა (აკ. ურუშაძე). აიეტის მამა ჰელიოსი კოლხთა სალოცავი ღმერთი იყო. (სიძე ცნობილია, რომ მითი მსოფლიო კულტურის უდიდესი მონაპოვარია).

ვლ. ალფენიძე ასკვნის: „არ არსებობს მსოფლიო ცივილიზაცია არც წარდგენამდე და არც წარდგენის შემდეგ ქართსა და საქართველოს, კოლხურ-კოლხა-კილხა-კოლხეთის გარეშე“ (ვლ. ალფენიძე. ქართული მწერლის... გვ. 102.).

ვლ. ალფენიძე ინტენსიურად მუშაობდა ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე: „მომავალში მე გამოვაქვეყნებ მეცნიერულ ნაშრომებს ამ თემაზე“ – წერდა ის, მაგრამ, საუბედუროდ ვერ მოასწრო თემის დასრულება და მოძიებული მასალების სრულად გამოქვეყნება.

ქართული ენის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობისა და ქართველთა ნიჭიერების შესახებ, აქ მინდა ჩაერთო მასალები ნიკო მარის შესახებ. აკადემიკოსი ნიკო მარი ქართული ენის შესახებ წერს: „ვიკადრებ თქმას, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობლად კაცობრიობის ვერც ერთი კულტურული საკითხი ვერ გადაწყდება“.

ნიკო მარის, როგორც გამოჩენილი მეცნიერისა და მოღვაწის შესახებ მოგვაქვს ამონარიდი აკადემიკოს შოთა ძიძიგურის შრომიდან „ნიკო მარი – ქართული კულტურის მკვლევარი“: დიდი ქართველი მეცნიერი ნიკო მარი მრავალმხრივი მკვლევარი იყო. მან წარუშლელი კვალი დატოვა მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებში – ენათმეცნიერებაში, ფილოლოგიაში, ლიტერატურის ისტორიაში, არქეოლოგიაში ამ შრომების საფუძველზე იგი მიჩნეულია მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერად.

ამასთანავე ნიკო მარი ცნობილია, როგორც საზოგადო მოღვაწე. მისი თაოსნობით დაარსებული რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება, აკადემიური ჟურნალი

თუ გამოცემათა სერია. იგი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტებს, მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიას, სსრკ მეცნიერებათა აკადემიას (როგორც ვიცე პრეზიდენტი) და სხვა. ნიკო მარმა შექმნა სამეცნიერო სკოლა, საიდანაც გამოვიდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები.

ნიკო მარი უპირატესად ქართველოლოგია, ძირითადად მისი გამოკვლევები მიეძღვნება ქართული ენის, ქართული ფილოლოგიის, ქართული ლიტერატურის, ქართული კულტურის პრობლემებს. ამ შრომებში ნიკო მარს საერთაშორისო მეცნიერების აღიარება მოუპოვეს“ (შოთა ძიძიგური, ნიკო მარი – ქართული კულტურის მკვლევარი, 1968, ანოტაცია და გვ. 6-10.). შემდეგ აკადემიკოსი შოთა ძიძიგური წერს: ნიკო მარი დაუღალავად ზრუნავდა ქართული მეცნიერული აზრის აღორძინებისათვის, მოითხოვდა პრემიების დაწესებას საზღვარგარეთული მეცნიერებისათვის, ევროპულ ენებზე ქართველოლოგიური შრომების გამოქვეყნებისათვის, ცდილობდა საქართველოში სამეცნიერო ცენტრის შექმნას – ისტორიული მნიშვნელობის. ფაქტია მის მიერ 1905 წელს შედგენილი (შემუშავებული) წესდება-პროექტი საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის შექმნის შესახებ და სიცოცხლის ბოლომდე (გარდაიცვალა 1934 წელს, დაიბადა 1864 წელს) იბრძოდა ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის ფართო სამეცნიერო ასპარეზის შესაქმნელად. თავდაპირველად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობა განსაზღვრული იყო 12 წევრით, გათვალისწინებული ჰქონდა ფინანსური საკითხებიც. იმ პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას გადამაწყობებდა დაბრკოლებები უხვად. ნიკო მარის ოცნება ასრულდა მისი სიკვდილიდან 7 წლის შემდეგ.

ნიკო მარმა თავისი შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე დააარსა 15 სამეცნიერო ჟურნალი თუ სერია და თვითონვე იყო ყველა მათი გამოცემების უცვლელი რედაქტორი. აკადემიკოსი შოთა ძიძიგური წერს: „მნელა მოიძებნოს მსოფლიო მეცნიერებაში მეორე სახელი, რომელიც იყო დამაბრუნებელი და რედაქტორი ამდენი საკვლე-საძიებო ჟურნალისა თუ გამოცემათა სერიისა“. ამ ჭეშმარიტებას შეიძლება დავამატოთ: ნიკო მარი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი უპირველესი მეცნიერი და, ალბათ, მნელა მოიძებნოს მეორე მისი ბადალი.

2005 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა ცნობები „ატლანტიდა ნაპოვინა?!“ რომელშიც ნათქვამია: ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფმა რადარული სისტემის გამოყენებით კუნძულ კეიპროსთან ახლოს შეძლეს მიეკვლიათ ლეგენდარული ატლანტიდის ნანგრევებისათვის, რომლის ზომები შეესატყვისება იმ აღწერილობას, რაც პლატონმა დაუტოვა შთამომავლობას, ატლანტიდის შესახებ. აღრვც არაერთი განცხადება ყოფილა ატლანტიდის პოვნის შესახებ, თუმცა, არცერთი ინფორმაცია არ დადასტურებულა. ამერიკელი მეცნიერები განაგრძობენ კვლევას. მომავალი გვინგვინებს რა იქნება („ატლანტიდა ნაპოვინა“, „კვირის პალიტრა“, 2005, 6-13 ივნისი.).

2011 წლის აპრილში ამერიკელმა მეცნიერებმა გამოაცხადეს, რომ მათ გაუმართლათ და ლეგენდარული ატლანტიდა იპოვეს. კონკრეტულად უნივერსიტეტის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ატლანტიდის მათ ესპანეთის სამხრეთით ზღვის თაეთხელზე მიაკვლიეს. ამას იმით ახაზებენ, რომ არქეოლოგებმა გათხრებისას, დაახლოებით 4 ათასი წლის წინადღე საგნებს მიაგნეს, რომელიც ერთ-ერთ ისტორიულ წყაროში ლეგენდარულ კუნძულს უკავშირდება. გარდა ამისა შესწავლილია თანამგზავრის მიერ გადაღებული ციფრული კარტოგრაფია. განალიზებულია წყალქვეშა კვლევის შედეგები და ა. შ. ამერიკელი მეცნიერები წერენ: „ჩვენ აღმოჩინეთ ის, რაზეც ბევრი ოცნებობდა, მაგრამ არავის ჰქონდა ნანახი“. ეს ყველაფერი ძალიან საკვლეო, რადგან უფრო ზუსტი ცნობები არ არსებობს. („კვირის პალიტრა“ 2011, 21 აპრილი, №16, გვ. 38.)

სიძე უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილი ინგლისელი მოგზაური პერსი ფოსტერი, რომელიც სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში ატლანტიდის აღმოჩენას ღამობდა და იქ

XX საუკუნის 20-იან წლებში დაიღუპა, წერდა, – მე მაქვს შავი ბახალტის პატარა ადამიანის ქანდაკება. მას მკერდთან ერთგლიფებიანი დაფა უჭირავს. დარწმუნებული ვარ, იგი ერთ-ერთ დაკარგულ ქალაქშია ნაპოვინო.

ფოსტერს სჯეროდა საგნების მეშვეობით წარსულის ხილვის ხელშეწყობისა. მან ერთხელ ნაცნობ ნათელმხილველს სთხოვა, ეცადა ამ პატარა ქანდაკების საშუალებით აღედგინა ატლანტიდის ისტორია.

ნათელმხილველმა ფიგურა ხელში რომ აიღო, თქვა, – ვხედავ დიდ, უსწორმასწორო კონტინენტს, რომელიც აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროდან სამხრეთ ამერიკამდე გადაჭიმული. ჩანს უამრავი მთა და ვულკანი. კონტინენტ აფრიკის მხარეს ცხოვრობენ მშვენიერი აღნაგობის მუქკანიანი ადამიანები, მაგრამ ისინი ზანგები არ არიან. წინ წამოწეული ყბები და ელვარე თვალები აქვთ. ვხედავ ცივილიზაციის უმაღლეს დონეზე განვითარებულ სოფლებსა და ქალაქებს... კონტინენტის დასავლეთ ნაწილში მჭიდროდ დასახლებული ქალაქებია. მცხოვრებნი სამ ჯგუფად არიან დაყოფილი – მმართველ ელიტად, საშუალო კლასად და ღარიბებად (მონებად).

როგორც ჩანს, ნათელმხილველი ლეგენდარულ ატლანტიდას აღწერდა. ახსენა კატასტროფაც, რომელსაც ემსხვერპლა ეს კონტინენტი:

– ყალბზე შედგა, აზივითებული ზღვა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაწილები წყალში უჩინარდება. წყლითვე იფარება მატერიკის ცენტრალური ნაწილიც. მცხოვრებთა უმეტესობა მიწისძვრის დროს დაიღუპა ან დაიხრწო. მე მესმის ხმა: „ატლანტიდის ბედს გაიხიარება ყველა, ვინც ძალაუფლების გაღმერთებას ყველგან“.

წარდგინის ისტორიის შესახებ ლეგენდის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს (პირველყოფისა – ოთხი). ყველაზე უძველესი მოცემულია გილგამეშის ეპოსში. აქ თავს იყრის ოთხი ქვეყნის (შუმერები, აქადები, ბერძენები და ებრაელები) ინტერესები, რომლებიც ცდილობენ მისი საკუთრონ წარდგინის მთავარი გმირის ზიუსუდრას სახელი. როგორც აღინიშნა, გილგამეშის ეპოსში მოცემული გმირები სუგამბაა, ენქიდუ, უთუ, არურუ, (მაშუს მთაც) და თვით გილგამეშიც დაზურ-მეგრულად იხსენებამიფრება და მხოლოდ ზიუსუდრა არ იხსენება დაზურ-მეგრულად. სახელი ზიუსუდრა წარდგინის მთავარი გმირის თავდაპირველი სახელი არ არის, რადგან თითქმის ყველა დანარჩენი სახელი, რომელიც გილგამეშია მოცემული დაზურ-მეგრულად (ჭანურად) იხსენება (იკითხება), რაც მიგვანიშნებს თვით გილგამეშის ეპოსის დაზურ-მეგრულ (ჭანურ) წარმოშობაზე. სახელი ზიუსუდრა შემდეგ არის გადაკეთებული (ამაზე სხვაგანაც გვაქვს ლაპარაკი).

გილგამეში არის ურუქის მეფის ლუგალბანდის და დეოთაბა ნინსენას შვილი (გულუ (ნუგზარ) სოფია, დაზურ-მეგრული... გვ. 97.). როგორც აღინიშნა ჩანს, შემთხვევით არ უთქვამს X საუკუნეში მოღვაწე ქართველ ბერს იოანე ზოსიმეს, რომ ყოველი საიდუმლო უფლის სახელით ღმერთმა ამხილოს ამ ენით, ე. ი. ქართულ ენით.

ჩაძირული ატლანტიდას გარდა, ჩვენი სამყაროს ერთ-ერთი „ამოუკითხავი“ ადგილია დასავლეთ პენჯაბი – ინდის ველი-პარაფის სახელმწიფოს ნამოსახლარი.

XX საუკუნის პირველი მესოეთის ბოლოს (20-იანი წლების დასაწყისი) ინდოელმა მეცნიერმა საჰნიმ ძებნა დაუწყო უძველესი დეოთაბების შივას ტაძრის ნანგრევებს.

საჰნის არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძველი ქალაქის მთელი კვარტალი, იმპერატორის სასახლე, ბრინჯაოს და ლითონის ქანდაკებები, განიერ ქუჩებში 2-3 სართულიანი, გამოშვარი აგურისაგან აშენებული სახლები, იყო კანალიზაციით, წყლის მარეგულირებელი ნაგებობები. სახლებში ნაგვის ჩასაშვები მილებიც იყო. ასევე, საზოგადოებრივი და კერძო ჭები. კერძო სახლებში განლაგებული იყო სამეურნეო სათავსოები, მსახურთა და მცველთა ოთახები, ეზოები – საკუჭნაოები, სამზარეულო, ურის საცხობი დუღილი, წვრილფეხა პირუტყვის სადგომი და სხვა. მეურნეობის ძირითადი დარგი ყოფილა მიწათმოქმედება და მეხაღებობა (პარაფის ცივილიზაციის დაღუპვა გაფრთხილება ჩვენთვის, ვაზ. „კვირის პალიტრა“, 2005, 16-22 მაისი, №37.). აღმოჩენილი იქნა უზარმაზარი ბიბლიოთეკაც, სადაც ინახებოდა უამრავი, დღემდე გაუშიფრავი ფირფიტა პიქტოგრამებით. ნაპოვნი იქნა სპილენძისა და ბრინჯაოს დანები, ნამგლები, ხერხები, ფარები, ხანჯლები, ისრის წვერები. ასევე აღმოჩენილი იქნა ათასზე მეტი ძველი, რომელიც მრავალ ათეულ კილომეტრზე იყო განლაგებული.

აღნიშნული ქალაქის აგებულების ხანად ანგარიშობენ ძვ. წ. 2500-2300 წლებს. მეცნიერება ასკვნის, რომ ატლანტიდა დაიღუპა კოსმოსური აფეთქების გამო. უფრო გვიან, რამ განაპირობა მეორე უდიდესი ცივილიზაციის დაღუპვა?

XX საუკუნის 70-იან წლებში ამერიკელმა (ნიუ-იორკი) მეცნიერმა ამოიცნო ზოგიერთი პარაფული პიქტოგრამა. ეს მკვლევარი გახლდათ უილიამ ფიურერვისი.

ინდოელმა მეცნიერებმა შეაჯერეს ფიურერვისის მიერ „წაკითხული“ მასალები და ინდური ლეგენდები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ თურმე პარაფა მესამე ათასწლეულზე დიდი ხნით ადრე დაარსებულა და ამ ტერიტორიაზე არსებულა ერთმანეთის მოქიშვე, არანაკლებ, ათი სახელმწიფო და საბოლოოდ სამი მტრული სახელმწიფო დარჩენილა, რომელთა შორის მშვიდობა ჩამოვარდნილა, მეფეებს თანაბრად გაუყვიათ ხელისუფლება, მაგრამ მათ შორის უძლიერეს მეფეს დაუხოცია ორი დანარჩენი მეფე. ბოროტ მეფის ღმერთების წყევლა დაუმსახურებია. ვერავი მეფე მალე მკვდარი უპოვიათ. სამეფო ხელისუფლება კი უმაღლესი ქურუმების ხელში გადავიდა. 200 წლის შემდეგ პარაფელებს ჰქონდათ წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, წისქვილი, ეტლებით მოგზაურობდნენ ქალაქებში, დიდ ქალაქებში იყო თეატრი, მუზეუმი, ცირკი; ცნობილი იყო ღვინის დამზადება, ზოგიერთი მეცნიარის საშუალებით ანათებდნენ საცხოვრებელ ბინებს.

ცენტრალისებური სახელმწიფოს დაღუპვის მიზეზი დღემდე უცნობია. არსებობს რამდენიმე სხვადასხვა ახსნა: წყალდიდობა, კლიმატის გაუარესება, ეპიდემია – ესენი ვერც ერთი ვერ დადასტურდა. ვერც მტრების შემოსევა დადასტურდა, რადგან დახოცილებს არ ეტყობოდა ცივი იარაღის კვალი.

ბოლოს, ცნობილმა მეცნიერებმა ვინჩესტი და დავენორტმა წამოაყენეს ჰიპოთეზა: პარაფის ცივილიზაცია დაიღუპა ატომური აფეთქების შედეგად, რომელიც განხორციელდა პაერიდან.

მოჰენჯო-დაროს ცენტრი ისე დანგრეულა, რომ იქ არაფერი დარჩენილა. იქიდან აღებულმა ნიდაგის სინჯმა აჩვენა, რომ აფეთქების დროს სიმზურვალე 1.600° C-ის, აღწევდა. ადამიანთა ჩონჩხები იპოვეს ქუჩებში, სახლებში, სარდაფებში, მიწისქვეშა გვირაბებში. ჩონჩხების რადიოაქტივობა ნორმას 50-ჯერ აღემატება.

ძველ ინდურ ეპოსში ბევრი გადმოცემაა საშინელი იარაღის შესახებ, რომელიც ცეცხლით ანათებს უკვამლოდ; აფეთქებას მოჰყვება ცის დაბნელება, საშინელი გრივადი, რომელსაც მოაქვს ბოროტება და სიკვდილი, წყალი დუღს, ყველაფერი ნახშირდება.

მეცნიერთა ერთი ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ადამიანებს უძველეს დროში მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდათ.

თუ ზემოთ აღნიშნული ჰიპოთეზები სწორია, მაშინ თანამედროვე კაცობრიობის ისტორიის მანძილზე (ადრეული უცნობია) ორი ცივილიზაცია განადგურდა: ერთი ალბათ შვიდი ათასი წლის წინ, მეორე ხუთათასი-ოთხათასი წლის წინ.

კლიმენტი შელია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სასამართლოს კუროზები

(ცოტა გავიციინოთ, თორემ გასკდა გული)



ამას წინათ ყოფილმა მოსამართლემ მამბო – ერთი კაცი სტრასბურგის სასამართლოში ჩიოდა, მარქსის და მარქსიზმის ბრალია, მათხორად რომ ვიქცევი ამ ქვეყანაში და მარქსის შთამომავლებს მორალური ზარალის ანაზღაურებას სთხოვდა. სასამართლომ, რა თქმა უნდა, მიუღებლად სცნო საჩივარი, ვინაიდან ის, თავისი არსით, სასაცილო იყო... კუროზების ნაკლებობას არც ჩვენი მართლმსაჯულება უჩივის, სადაც შესაძლოა სიმართლე ვერა, მაგრამ ჭირი და ღვინი ძეგები რომ არიან, ხშირად მტკიცდება. ახლა კი წარმოგიდგინებ მხიარულ ეპიზოდებს ქართველი იურისტების ცხოვრებიდან.

თამილა შუთათელაძე, ადვოკატი: – სამი წლის წინ ისან-სამგორის პროკურორმა დავით გაგნიძემ გამოძიებულ გიორგი ოთიაშვილის დაწყველისთვის პასუხისმგებლობა დამაკისრა, არადა, ვინც მიცნობს, დამემოწმება – ასეთი რამ არ მახასიათებს. გამოძიებელი მისიოდა, რომ ჩემმა წყველამ მორალური ზიანი მიაყენა. სასამართლოს წინ ადვოკატები გაიფიცნენ და მოსამართლემ ვერ გაბედა განაჩენის გამოტანა.

თამარ აბუსაძე, ადვოკატი: – ერთ-ერთ ბრალდებულს სამშენებლო ობიექტიდან წამოუღია 17 ცალი (დღეში თითო აგური მოჰქონდა) აგური. მეჩვიდმეტე შესვლაზე დაიჭირეს და თითოეული აგურის მოპარვა 17 ეპიზოდად შეუკრიბეს. სასჯელი საბოლოოდ 21 წელი გამოუვიდა. სასამართლოზე დაცვის მხარე ძალზე სუსტი იყო და ბრალდებულს მოსამართლე ეხმარებოდა, თქვი, რომ ერთი განზრახვით გინდოდა აგურების მოპარვაო, მას კი ანემებული ჰქონდა, არა, ცალ-ცალკე გამოვიტანე, მარტო კაცი ერთიანად გამოტანას როგორ შევძლებდით... ბრალდებულს, საბოლოოდ, საპროცესო გაუფორმეს და გამოუშვეს.

დალიდა თათეშვილი, ადვოკატი: რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი რაიონის ადვოკატურაში ვმუშაობდი. რაიონში ცხოვრობდა ერთი საკმაოდ ცნობილი ოჯახი, ცოლიც და ქმარიც მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ და მთელი რაიონი პატივს სცემდათ, მაგრამ საკმაოდ სოლიდურ ასაკში ქმარი ვიღაც ქალბატონს გადაეკიდა და ოჯახი დაინგრა.

სასამართლოში ჰქონდათ დავა სახლის გაყოფაზე. ცოლის ინტერესებს მე ვიცავდი, ქმრის ადვოკატი კი სომეხი ხანშიშესული მამაკაცი გახლდათ, რომელმაც ქართული საკმაოდ კარგად იცოდა და პროცესზეც ქართულად გამოდიოდა. ეს ადვოკატიც (პირობითად – ვართანი) ჩვენივე რაიონიდან იყო და ცოლ-ქმარს იცნობდა. დაიწყო სასამართლო პროცესი. ჩემი კლიენტი ქალბატონი ძალიან ნერვიულობდა, ეთაკილებოდა, ასეთ დღეში რომ იყო და სიტყვებს ძლივს აბამდა ერთმანეთს.

– ქალბატონო, რას ნერვიულობთ, ყველამ ვიცით, რომ თქვენც და თქვენს ქმარსაც შიგა გაქვთ, – უთხრა ვართანმა.

– რას მიბედავთ, – გადაირია ინტელიგენტი ქალბატონი.

– რას ამბობთ, ბატონო ვართან, – შევიცხადეთ ჩვენც.

– რას ვამბობ და, სიმართლეს, მაშ, ორივეს შიგ არა აქვთ? – შეგვეპასუხა ვართანი.

– რა აქვთ შიგ, კაცო! – თავი ვერ შეიკავა მოსამართლემაც.

– რა აქვთ და წილები, ამ სახლში ორივეს აქვს წილები, სხვა რა უნდა ჰქონოდათ? – მოვუბრუნა ვართანს.

ზურაბ როსტიაშვილი, ადვოკატი: – ვიცავდი ყაჩაღობაში ბრალდებულს. დაზარალებული ქალბატონი გახლდათ. ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე დამაგვიანდა, რადგან წინა პროცესი დროულად არ დამთავრდა. ვინაიდან ბრალდებულს ჩემი ფირმის სხვა ადვოკატიც იცავდა, ჩემს მისვლას არ დაელოდნენ და სხდომა დაიწყო. დარბაზში

იმ დროს შევედი, როდესაც დაზარალებული ქალბატონი თავის სიტყვას კითხულობდა და წამდაუწუმ გაიძახოდა, მიქინძულია საქმეზეო.

– უკაცრავად, ბატონო მოსამართლე, რას ქინძავს ეს ქალბატონი? – ვიკითხე გაკვირვებულმა.

თურმე ქალბატონი მიუთითებდა მტკიცებულებებზე, რომლებიც, მისი აზრით, განსახჯელის დანაშაულს ადასტურებდა და რადგანაც ეს მტკიცებულებები საქმესთან ერთად იყო აკინძული, ისიც “აკინძულის” თუ “მიკინძულის” ნაცვლად “მიქინძულიაო” გაიძახოდა.

ახლა სხვა ეპიზოდზეც მოგიხსნებო. რამდენიმე პირს ბრალი ედებოდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში. ყველას გამამტყუნებელი განაჩენი დაუდგინეს. დარბაზში გლოვანტირილი ატყვდა. ერთ-ერთი ახალგაზრდა მსჯავრდებულის დედამ მოსამართლეს სთხოვა, ერთი სიტყვა მათქმევინეთო. მოსამართლე უკვე დარბაზიდან გასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ ქალს უარი ვერ უთხრა და შეჩერდა. დარბაზი გულისსამაწყველები სიტყვების მოსასმენად მოეშალა.

– ბატონო მოსამართლე, ჩემს შვილს სახლში ლოგინში გადატრიალება უზარებოდა და ეგ ქვეყანას გადაატრიალებდა? – მართლაც ერთი სიტყვით დაასაბუთა შვილის უდანაშაულობა ქალმა.

ხალხს წუთით დაავიწყდა ყველაფერი და დარბაზში სიცილი გადარბინა.

6. შიცხელაური

გაზეთ „ილორი“-ს რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალალანიას

ბატონო როლანდ,
მეგალების მხრიდან გაუსაძლის პირობებში ჩავარდნილმა ხალხმა ფოთში, ამ წყნარ, სტუმართმოყვარე, პროვინციულ ქალაქში უკვე მეორედ გამოიწვია საზოგადოების გულმოდგინება და ეს უპრეტენზიო ხალხი ავანგარდში ჩადგა საქართველოში წინა ხელისუფლების მხრიდან უსამართლო, კაცთმოძულე საკრედიტო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაკვადნიერდით და ქ. ფოთში მიდინარე პროცესების შესახებ გავამზადეთ წერილი, რომელსაც, იმედი გვაქვს, გადახედავთ და სათანადო ჟურნალისტური კორექტირების შემდეგ გამოაქვეყნებთ თქვენს გაზეთში, რომლის აქტიური მკითხველები საკმაოდ ბევრნი ვართ.

პატივისცემით,
თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და გამაგრებელი ქ. ფოთში რეზაზ ფულაია

ბანკის მოვალეთა კომიტეტმა ფოთში მუშაობა განაახლა

ბანკის მოვალეთა კომიტეტმა 2009 წლის დასაწყისში დაიწყო ფუნქციონირება ფოთში მაშინდელი ოპოზიციური ძალების „ბანკის საქართველოსთვის“ თაოსნობით. იმ წლებში გამეფებულმა ტოტალიტარმა თვალთვალმა და ხალხის მასებში გავრცელებულმა შიშის სინდრომმა შეაფერხა კომიტეტის მუშაობა, მაგრამ კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა ფოთში მაინც მიაღწია ნაწილობრივ სამართლიანობას და ბანკთან პირველი სასამართლო პროცესის მოგების პრეცედენტი დააფიქსირა 2011 წელს.

მას შემდეგ, რაც კრედიტორების მხრიდან შევიწროებულმა მოვალე ქალთა ნაწილმა, მიმდინარე წელს თავისი უპრეცედენტო, შეიძლება ითქვას თავგანწირული ქმედებით მიიპყრო ხალხის რწმუნება ყურადღება, რასაც მოჰყვა გედევან ფოფხაძის თაოსნობით პარლამენტართა დიდი ჯგუფის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა პირველი მოსმენით. გასაგები მიზეზების გამო შემდეგი მოსმენები გადაიდო საშემოდგომო სესიაზე განსახილველად.

ყოველივე ზემოთთქმულმა განაპირობა ფოთში ბანკის მოვალეთა კომიტეტის მუშაობის განახლება, რომლის მიზანია ამ პერიოდში თავისი აქტიუობებით ხელი შეუწყონ კანონმდებლებსა და ხელისუფლებას პრობლემების სრულად დანახვასა და მათი გადაჭრის გზების მოძიებაში.

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს ფოთში შეიკრიბა ბანკის მოვალეთა საერთო კრება, რომელმაც პირველ ეტაპზე მიიღო რეზოლუცია, რომლის ტექსტი მოგვყავს ქვემოთ.

2013 წლის 15 აგვისტოს ბანკის მოვალეთა საერთო კრების მიერ მიღებული რეზოლუცია

2004 წლიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული მკვეთრად ლიბერალური კურსის გათვალისწინებით დაიწყო ეროვნული ბანკის უფლებამოსილების შეკვეცა და პროპორციულად კომერციული ბანკების ფუნქციების ზრდა. საკრედიტო ინსტიტუტებმა სახ-

ელმწიფოს მესვეურთა ხელშეწყობით დაიწვეს უპრეცედენტოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთებით „მაღალი რისკის შემცველი“ კრედიტების გაცემა განვითარების სტადიაში მყოფი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის და ფიზიკური პირებისათვის. მაშინ როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ, ტელეკომუნიკაციების დონეზე აქტიურად ხდებოდა პროპაგანდირება თითქოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება პრიორიტეტული იყო და ხელშეწყობილი. რეალურად კი საგადასახადო და საბანკო სისტემების ხშირად ურთიერთშეთანხმებული ქმედებების გამო, მიზანმიმართულად ხდებოდა ამ სეგმენტის განადგურება.

2008 წლის აგვისტოს ომმა და შემდგომ განვითარებულმა ფინანსურმა კრიზისმა ცხადად წარმოაჩინა სახელმწიფოს პოლიტიკის შედეგები, რის შედეგადაც დღეის მდგომარეობით 75000-ზე მეტი ოჯახის კერძო საკუთრება, საცხოვრებელი სახლი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ხოლო ნაწილი უკვე გამოსახლებულია ბინიდან და დარჩენილია ღია ცის ქვეშ.

ჩვენი მიზანია:

- დაგანახოთ ხელისუფლებას ჩვენი ერთობა;
- მოვითხოვოთ სამართლიანობის აღდგენა, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩნია შეიქმნას საპარლამენტო საგამომიბურო კომისია, რომელიც შეისწავლის 2004 წლიდან საბანკო სექტორში განვითარებულ მოვლენებს და 2008 წელს სახელმწიფოს მიერ აღებული დახმარებიდან 2 მილიარდი დოლარის საბანკო სექტორში დახმარების სახით ჩადების მიზანშეწონილობასა და მიზნობრიობას;
- საპარლამენტო საგამომიბურო კომისიის მუშაობის დასრულებამდე გამოცხადდეს მორატორიუმი საცხოვრებელი ფართიდან ოჯახების გამოსახლებაზე;
- მიინახოს მექანიზმი იმ ოჯახების რეაბილიტაციაზე, რომლებიც უკვე გამოსახლებულნი არიან.

რეზოლუციას გავცენი და ვეთანხმები, რასაც გადასტურებ პირადი ხელმოწერით:

გვარი, სახელი, მისამართი პირადი ტელეფონი ხელმოწერა – ასეთი სახით გროვდება ხელმოწერები ფოთში და სხვა რეგიონებშიც.

ბანკის მოვალეთა კომიტეტის ძირითად მიზანს წარმოადგენს მიინახოს გზები, რათა არ დაზარალებდნენ ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და კერძო იპოთეკარები, მაგრამ იმავდროულად უნდა აღიკვეთოს ის საშიშვლი პრაქტიკა, რომელიც უსახლკაროდ ტოვებს საქართველოს მოქალაქეებსა და ხშირ შემთხვევაში თვითმკვლელობამდე მიჰყავს ადამიანები.

ბანკის მოვალეთა ფოთის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით აღდგა ბანკებისა და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ დავალიანებების მქონე მოსახლეობის ანეკიტრება, რისთვისაც საჭიროა სპეციალური ბლანკების შევსება და მონაცემთა ბაზის ფორმირება. ანეკიტის შევსება თავისთავად ამ იღვის ირგვლივ გაერთიანებას ნიშნავს. კომიტეტები გააერთიანებს მოვალეების საერთო ინტერესებს და გააიოლებს მათი, როგორც ფინანსური, ისე სამართლებრივი ინტერესების დაცვას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბოლო დროს გააქტიურდნენ ევროპოლოგები „ეკრძო იპოთეკარებო“, რომელთაც, ფრთხილ საეკუო ვითარებაში, აუქციონის წესით, ხელში ჩაიგდეს ბინები და საკუთარი სახლები. მათ ფულის მიღების იმედიით ჯერ არ ჰყავდათ გამოსახლებული კრედიტორები და აშკარად მოვალეთა პროვოცირებასა და დაშინებას ახდენენ გამოსახლებების (ხშირ შემთხვევაში კი მათი საცხოვრებლის აუქციონზე გატანის) მუქარით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში უკვე წარმოხდა ფაქტები მეგალის ინიციატივით მოვალესა და მეგალის შორის კომპრომისული შეთანხმებისა, რაც რა თქმა უნდა მისასალმებელია, თუ ეს პროცესი გამოსახლებული არ ხდება და მანქანების ალტერნატივად არ გვევლინება.

საკრედიტო ორგანიზაციების მესვეურებს გვიანდა შევახსენოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკა, რომლის დაქვეყნაც გეოწინასწარმეტყველებენ კანონპროექტის ინიცირების შემთხვევაში, თვით მეწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებშიც მცირე და საშუალო ბიზნესზეა დიდწილად დამოკიდებული, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესი და საერთოდ ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი საშუალო ფენა, 2004 წლიდან შეგნებულად განადგურების გზაზე დააყენა სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკამ.

დაბოლოს, კომიტეტი მიმართავს საქართველოს მოსახლეობას: არაფინ იფიქროს მე ცალკე ვარო, რაც არ უნდა განზე გადაგვადრე თუ გვიან ეს სიმწარე შენზე ან შენს ახლობლებზე გადმოვა. გადატაკებისა და თვითმკვლელობების მეტასტაზები მოვლო ქვეყანას და თუ დროზე არ მოხდა ამ მოვლენის ჯერ ლოკალიზება და შემდგომში მისი მკურნალობა, შესაძლოა ახლო მომავალში უკვე გვიანი იქნეს. თუკი თითოეული ჩვენთაგანი ვერ ან არ ივრძნობს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით, რომ ის „ეკრძო იპოთეკარები“ ჩვენი საზოგადოების წევრია და სასურველია ჩვენთან ერთად დადგეს, უერთმანეთოდ გამოსავლის პოვნა ძნელია.

იმის ფიქრი, რომ რომელიღაც ჯგუფი იხსნის ქვეყანას და მეც მოვყვები ამ კეთილდღეობაში, ან ვიღაცეების მხრებზე გადავიდის ეს ორმტრიალი და მე გადავრჩები და უმეტეს სარგებელს ვნახავო, თავის მორტუება – თუ უზნეობა არა.

ბანკის მოვალეთა ფოთის საქალაქო კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას: განვაახლოთ 2009 წელს შექმნილი ბანკის მოვალეთა კომიტეტების მუშაობა სხვა ქალაქებშიც, გაავართიანოთ ჩვენი ძალი-სისხლე, არ დავიზაროთ თუნდაც თითო აგური შემგებოთ საერთო საქმეს და მხარში ამოვუდგეთ კანონმდებლების იმ ჯგუფს, რომელმაც ითავა ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაკოტრების წინააღმდეგ ხმის ამაღლება.

უახლოეს დღეებში სოციალურ ქსელებში ერთ-ერთ გვერდზე დაიდება ბანკის მოვალეთა საერთო კრების შემოთხოვნილი რეზოლუცია, სადაც ყველა მსურველს შეუძლია მხარი დაუჭიროს მას და ამით ერთი აგური შემატოს საერთო საქმეს.

გვზარავდეს ღმერთი ყველა ჩვენთაგანს და სრულიად საქართველოს!

საქართველო გაერთიანებას და აღორძინებას ნამდვილ მებრძოლთან ერთად იზიარებს

რა ვიდრის, როგორ დაველოთ მაღალიდ უგუნდოთა, კარიერისტთა, მომხვეჭელთა და ეგოისტური ცოდვებით დამძიმებულთა მიერ დაჭრილ ერს?!

დაიქცა და ისტორიის ფურცლებს მიეკედლა სოციალისტური ცხოვრება, რომელიც შევარდნამ იმ მოწამლა და დაამახინჯა, რომ ბოსნიის საფრთხივლას დაამსგავსა ეს კაცობრიობის მომავლის თანასწორობის და ბედნიერი ცხოვრების იმედი.

ხალხების ერთ დიდ ოჯახში შესმატკბილებულად, ურთიერთ პატივისცემით, ძმობით და მეგობრობით ცხოვრება სამაგალითო იყო. უზარმაზარი ქვეყანა ყველა ერისთვის ერთიან სამშობლოდ ითვლებოდა, არ არსებობდა ეროვნული შუღლი, დამცირება და მტრობა. რა მოხდა? რატომ აირია ქვეყანა? ვინ დაშალა საბჭოთა კავშირი? გაზულქებულმა კომუნისტურმა "ვერხუშკამ", საფუძვლიანად რომ გასვარეს დაამახინჯეს სოციალური თანასწორობის, ხალხებს შორის ძმობის და ურთიერთპატივისცემის იდეები. ეს რატომ ჩაიდინეს? განუსაზღვრელი ძალაუფლებით განებოვრებული კლასიზმის, ხალხის სასიკეთოდ მოქმედი კანონების უხეში და უთაო გადაკეთებით ცხოვრებას მიზნები და ეფექტურობა დაუკარგეს. ქვეყანაში რწმენის და დისციპლინის მოშლამ, რასაც თან ახლდა მაღალი თანამდებობის პირთა თავხედობა, მომხვეჭელობა, კორუფცია და ძალადობა, კრიზისული სიტუაცია შექმნა. სოციალიზმის სიკეთე უფასო მკურნალობა, უფასო სწავლა, უფასო ბინა, დასვენება, გარანტირებული სამსახური და ბევრი სხვა მრავალი წვრილმანი კეთილდღეობა ხალხს უცვლელი ვგონა და ამის ფონზე დანარჩენი ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით საბჭოთა კავშირს შეუტია.

აქ კი იწინა თავი დემოკრატიის ნიღბით შემოსილმა სეპარატიზმის, სიძულვილის და ყოველივე სასიკეთოს მოსპობის უცხოეთიდან ჩამოთესვებულმა უბედურებამ, რომელმაც ესოდენ მოწამლა აქამდე სიკეთით, სიყვარულით და ყველა ერისადმი პატივისცემის ნაფურცელი კაცთმოყვარეობის ნერვი.

ამ საშინელმა პარაზიტმა მსუყე ნიდაგი საქართველოში ნახა, რამეთუ საბჭოთა კავშირის პერიოდში ყველაზე ხელშეწყობილი, დაფასებული და წარმატებული საქართველო იყო. ქართული ჩაის წარმოება რომ განვითარებულიყო, მხოლოდ ქართული ჩაით მარაგდებოდა საბჭოთა კავშირი; ასევე იყო ღვინო და ციტრუსები. საქართველოს მძლავრი მოწვევლობა რუსეთიდან მარაგდებოდა ნედლეულით და ნახევარფაბრიკატებით. განათლება, კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, უამრავი კვლევითი ინსტიტუტები რუსეთის ხელშეწყობით შეუფერხებლად ფუნქციონირებდნენ. ყოველივე ეს კი რუს ხალხთან თბილი ურთიერთობის ნაყოფი იყო, რასაც შევარდნამ ანტიეროვნული, კარიერისტულ-მოღალატეობრივი საქმიანობით საგრძნობლად აფერხებდა. მაინც საქართველოს რესპუბლიკა ბრწყინავდა ამ კავშირში. საკუთარი ფლოტი ჰყავდა და მსოფლიო ოკეანეებში დაცურავდა.

ორი საუკუნე რუსეთის დახმარებით და უშუალო მონაწილეობით ფერფლიდან ფენიქსივით აღმდგარი საქართველო გამოთლიანდა. ქართველი ერი მსოფლიო ხალხთა შორის თავისი მიღწევებით შესამჩნევი გახდა.

საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობა მტერს თვალს უბამდა. მათ შორის რუს-ქართველთა შორის განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება სამაგალითო იყო.

ჯერ კიდევ მონარქიულ რუსეთში ქართველებს ისეთივე უფლებები ჰქონდათ, როგორც რუსებს; საბჭოთა კავშირის პერიოდში ხომ გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ. რუსი ტურისტები საქართველოდან ამანათებით აგზავნიდნენ კვების პროდუქტებს: კონსერვებს, ძეხვს, თევზეულს, რომელთა გამოყენებას

ქართველები აღარც კი კადრულობდნენ.

მცხოველეობის პროდუქტებს რუსეთიდან ღირსებით ვეღებულობდით და ნაკლოვანება არ გვიგვრძნია, თუ არა შევარდნადის კარიერისტული ტრაბახი, საქართველო თვითონ უზრუნველყოფდა თავის თავს.

– ჩვენი ჩაი, ციტრუსები, ყურძენი გვეყოფა! – ღრიალებდა ბრმად ქცეული უგუნდოება და ავიწყდებოდათ, რომ ეს ყველაფერი რუსეთის ხელშეწყობით იყო ასე წარმატებული. მოისპო ჩაი, გავერდნა და ვენახები; ბორჯომის დაღვევა, ადრე ყუთებით რომ ჰქონდა, ენატრება დღევანდელ გაჭირვებულ ქართველს.

იმ რუსეთის მტრობით აიკლეს ქვეყანა, რომელიც არცერთ რესპუბლიკას აღარ აკავებდა კავშირში, რამეთუ მისი დაშლის ორგანიზატორი თვითონ იყო.

სიცხიანი ტვინის პოლიტიკა უფრო შორს წავიდა და რუსეთიდან გამოგზავნილი აუარებელი სამრეწველო საწარმოთა ნედლეული რკინიგზაზე აღარ გამოატარეს რუსეთის დასუსტების მიზნით. ამ სასაცილო უგუნდობამ დამბლა დასცა საქართველოს მრეწველობას. ანტირუსული ფსიქოზი დაეპატრონა დამოუკიდებლობის ილუზიას.

საქართველოს და ქართველი ხალხის ყველაზე ახლობელი მფარველი და მეგობარი რუსეთი გაცვალა იმ მტაცებლებზე, საქართველოს ჩამოტყვევებ ნატოებს დღესაც კბილებში რომ გასწრიათ და ახლის ჩამოსაჭმელად ემზადებიან. აგზავნიან და ოსებმა კი რუსეთთან კეთილი განწყობით - თავი დააღწიეს ნატო-ს და ევროატლანტიკური ილუზიონისტების დაბნელების ბანგს, ასე რომ დააქციეს და დაანაწილეს ნაფერები საქართველო.

მსოფლიოში არ არსებობს არცერთი ქვეყანა, რომელსაც ასე სამარცხვინოდ, თავისი ხალხის ნების წინააღმდეგ ავღანეთის ავანტიურაში ღრმად ჩაეყვინათ.

სავალალო და გულსატკეპია სოკოსავით მორავლებული ვითომ პოლიტიკოსები უტიფრად და უსირცხვილოდ რომ სთავაზობენ ქართველი ხალხის ბედ-იბაღს უცხოელ დამფინანსებლებს იმპერიული ამბიციების შესანვლებლად.

ამ ქარაფშუტა პოლიტიკოსებს მომგებიან ბიზნესად სამშობლოს და ხალხის ინტერესებით ვაჭრობა რომ უქცევიათ, ნუ დააიწყებებთ, სიმართლის მოკავშირე დრო მათ მყარად სანაგვეზე მიუწენს ბოლო ნავსაყუდელს, მაგრამ რა ეშველება მუხთლობით დაკნინებულ და დასუსტებულ ქვეყანას?!

ამიტომ არის საჭირო ერთ მუშტად შეკრული ხალხის თავდადებული ბრძოლა პარაზიტების შესაფერის ადგილზე მოსაჯდომად.

დღევანდელ ორხელისუფლებიანობაში გაკვირვებულები შეეყურებთ უცხოეთის ლაქია პოლიტიკოსთა და არასამთავრობო გრანტიელაპიათა როკვას მათი დამფინანსებლების საამებლად, რაც ძლიერ აფერხებს ქვეყნის და ხალხის სასიკეთოდ გასატარებელ დონისტიკებს, მაშინ, როდესაც პრეზიდენტად წოდებული ამერიკელთა ცრუპენტელა ძაღლისშვილი თავის სკამზე ისტერიულ ჩაბლაუჭებას დაღატის და დასმენის ერთხელ არჩეულ საქმიანობას ასე აშკარად და ბრევიულად აგრძელებს.

ამ ქვეყნის დამაქცევარის და მისი ხროვის მიმართ კოპაბიტაცია თუ შემწვანარებლობა ხალხის გაწვილების ტოლფასია, რაც ახალი ხელისუფლების სასიკეთოდ არ მეტყველებს. ეს კარგად იცინა ნაციონალთა უცხოელმა მწვრთნელებმა, ამიტომ ასე თავხედურად იცავენ ქვეყნის მოღალატეთა ნიდაბშემოხეულ კრიმინალებს და ხელისუფლებას მათი დამსახურებისამებრ დასჯის საშუალებას არ აძლევენ. ავიწყდებთ, რომ გაწვილებული და აღშფოთებული ხალხის სამსჯავრო უფრო მაკცრი იქნება. მაშინ ამ ბოროტების ნაშვირი ევროატლანტიკური წამქეხებლების და დასავლეთელი ცრუდემოკრატების დავდავი ვედარ იხსნის. ახლა კი საზარელი თავხედობის, უხეობის, უსირცხვილობის, უტიფრობის, სიცრუის და

ცილისწამების სიმერალეს აფრქვევს წელმოწყვეტილი პარაზიტი მისი სათანადო ადგილას მოუყუების მოლოდინში მოთმინების ზღვართან მისულ ხალხს.

როგორ არ უნდა გაგვიდომოს დამცინავად ნაციონალების კანდიდატ ბაქრადის მოთხოვნაზე უმრავლესობისათვის ეკონომიკის საკითხებზე კონსულტაციის თუ რჩევის მისაცემად. პარლამენტის თავმჯდომარე იყო და ისე ათხარეს ეკონომიკა, რომ მის ადღვენას ათეულობით მილიონი არ ყოფნის. ექვსას მილიონ ლარამდე დახარჯეს ახალი პარლამენტის მშენებლობაზე და დამთავრების შემდეგ კიდევ მრავალი მილიონი სჭირდება; ამას ემატება პარლამენტის ქუთაისში შენახვის გაზრდილი ხარჯები. ამ დაღატან წილნაყარ უზარმაზარ საბიუჯეტო თანხებს რომ ანიავებდნენ, რატომ არ ჩაუტარა კონსულტაცია თავის ფსიქიატრის პაციენტ პრეზიდენტს?

ახლა, პრეზიდენტობა რომ მოუნდა და ხალხს ახალი ნიღბით ხვდება, რა გააკეთა ხალხისათვის?! სახელმწიფო ბიუჯეტი თავისი ბაბუის ყულაბა ვგონათ - ისეთ ხელფასებს და პრემიებს იკანონებდნენ, ყველაზე მდიდარ სახელმწიფოებს უკვირთ. თუ პარლამენტში რამდენიმე თვე იპარლამენტარა, სიკვდილამდე ისეთი პენსიები დაინიშნეს, ახალგაზრდებს ხელის განმრვეა აღარ სჭირდებათ, მაშინ, როდესაც მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, კეთილშობილი მამულიშვილები შიმშილთან ბრძოლას აგებენ. რომელ ღრმა ჭაში ჩაუვარდა თავისი ეკონომიკური ცოდნა, როცა მათი პრეზიდენტი ერთ ლარად ანიავებდა ხალხის კუთვნილ ობიექტებს და ქუჩაში ერეკებოდა მათ მიერ დეტოლივლებად ქცეულ, ამ შენობის ნამდვილ მუპატრონე ხალხს. რომელ ქურდს და ყაჩაღს შეუძლია ასეთი უზარმაზარი ზარალი მიაყენოს ქვეყანას?!

მთელი საქართველოს ქონება გაანიავეს და სტომაქში ჩაიდეს, ერთი შემთხვევა გვითხრას პრეზიდენტობის ნაციონალმა კანდიდატმა, სასიკეთო რჩევით ხმა რომ აიძალდა.

ისეთი რა უსირცხვილობის და ბრიყვობის ვაქცინა შეუშნაპუნეს ამერიკელმა მფარველებმა, რომ ამხელა ცოდვებით დამძიმებული არსება ხალხის წინაშე უტიფრად გამოდის და პრეზიდენტობას ითხოვს.

ამერიკელებმა რომელ ქვეყანას დააყარეს სიკეთე?! სადაც მისწვდნენ უბედურება, გაჭირვება და ძალადობა აბარტყეს. რომელ პატარა ქვეყანაში ააყვავეს განათლება, მეცნიერება, კულტურა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და უამრავი სიკეთე, რაც ჩვენ რუსეთის დახმარებით გვქონდა და ამერიკელთა დახმარებით მათხოვრად ვიქცით.

კაცობრიობას არ ახსოვს მეორე ისეთი გენოციდი, რაც მათ ინდიელებს მოუწყვეს. თითქმის უკვე დამარცხებულ იაპონიაში ატომური დაბომბვით ისე ამოზუგეს იაპონელები, რომ ამ საშინელების მომსწერ სატანასაც კი სირცხვილით ბაღანი გასცივებდებოდა. გუშინ და გუშინწინ მონათმფლობელობას ებლაუჭებოდნენ და შაკკანინებზე ძაღლებით ნადრობდნენ. იმის მაგიერ, რომ ამ საზარელი ცოდვების მოსანანიებლად დღევანდამ უფალს მუხლზე ჩოქვით ევედრებოდნენ, დემოკრატიის ნიღბით პედერასტების, ბინძური გარყვინილების, უზნეობის, ძალადობის დაკანონებით ცდილობენ კაცობრიობა აუგიას ბოსლებში შერეკონ.

ვერავითარი ანტიამერიკული აგიტაცია-პროპაგანდა მათ ნამდვილ სახეს ისე ვერ გამოაჩენდა, როგორც თვითონ ჩამოიხიეს ნიდაბი და მტაცებლის სიფათით, ნატო-ს კბილდარტყნილი ღრენით, სატელიტი სახელმწიფოების მარიონეტი ხელისუფლების დაქვემდებარებულ მსოფლიოს.

საქართველოში დიდხანს ვაგრძელებდა ამერიკელთა ძაღლისშვილების პარპაში, რის შედეგადაც ქართველი ხალხის არსებობაში უბედურება აღწობს ბედნიერებას და უამრავ პარაზიტს ამრავლებს. ხელისუ-

ფლებში გამმერადნი ისე უჭიდებიან მათ მიერვე ცოდვად ქცეულ სავარძლებს, რომ ხალხის ერთიანი ძაღლისხმევაა საჭირო იქიდან ასაგვეჯად.

ცხრა აპრილის ტრაგედიის გამო ჯუშბერ პატიაშვილი გადადგა, როცა მას არაფერი ეკითხებოდა და ვერც შესძლებდა მის აცილებას.

შევარდნამ საქართველოში ისეთი საზარელი დარბევები მოაწყო, თემურ ლენგს განაცვიფრებდა. აფხაზეთის ავანტიურის ქართველი ხალხის უბედურებად დასრულების აგტორს დიდ პოლიტიკოსად მოჰქონდა თავი და ეს ქვეყნის დამაქცევარი მაინც ვერ შელუოდა იუდას საბრძანებლად ქცეულ პოსტს.

ცრუპენტელა მიშა ხომ პირდაპირ მიგნებაა ამერიკელთა ძაღლისშვილების გამოსაჩეკ ინკუბატორის მრავალწლიან მოღვაწეობაში. გაწვრთნეს რეზიდენტად და წამოგვიჯდა პრეზიდენტად. ირბინა, იქაქანა, საქართველოს ტერიტორიების დაკნინება-ტერიტორიების განიავებაში წინამორბედს გაასწრო. ერთი მსახიობის სპექტაკლი - მთავრობის სხდომები ხან მშენებარე ობიექტის სახურავზე, ხან მინდორში თუ ტბაზე მოგვალანდა; ირბინა და არბინა ენაგადმოვლებული თანამზრახველები, რომელთაც ერთს არ აღმოაჩნდა უნარი, რომ დაეყვირა, რას შვრებით, რამ გადაგრიათო. ნამდვილად გადაირივნენ. სამარცხვინო ცხინვალის ავანტიურას რუსეთ-საქართველოს ომად ასაღებენ. არადა ნაციონალთა თავქარქაში მიშა და მისი მსგავსების ნახირი ვერსად წაუფა ამ საზარელი დაღატისათვის მკაცრი სასჯელის სუსხს.

არავითარი რუსეთ-საქართველოს ომი არ ყოფილა, ეს იყო ნაციონალებისა და მათი წამქეხებლების ძაღლისხმევა საქართველოს გამოთლიანების და რუსეთთან მეგობრობის ადღვენის წინააღმდეგ. ყველა დაღუპული ვაჟკაცის სისხლი ნაციონალთა და მათი სამარცხვინო პრეზიდენტის კისერზე და ვერავითარი კოპაბიტაციის ჯადო ვერ იხსნის მათ ამ პასუხისმგებლობიდან. რაც მიშამ ჩაიდინა, ნაშუისის და თავმოყვარეობის ნატამალი რომ გააჩნდეს, აქამდე უნდა გადამდგარიყო, ის კი მისი გამრყენელთა იმედით ისტერიულად ებლაუჭება მისგანვე შერცხვნილ პრეზიდენტობას, რომელიც საბრძანებო დასკვნად ექცევა.

ხალხი მოთმინებით უცდის ნაციონალთა ცოდვების სათანადოდ შეფასებას. იმასაც კარგად ხვდება, რომ "ქართულ ოცნებაში" მრავლად შეღწეული ამერიკელთა მეხუთე კოლონა ბიძინა ივანიშვილს სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის ქვეყნის სასიკეთოდ გაბრძოლებაში. ისიც კარგად იცის, რომ დღევანდელი პარლამენტი, მიუხედავად ხალხის გამარჯვებისა, ნაციონალთა მიერ გაყალბების და ამერიკელთა მეხუთე კოლონის შეღწევით სერიოზულად არის დასვრილი. ეს პარლამენტი დღევანდელ გაუსაძლის ყოფაში ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი არ არის. ამიტომ საჭიროა ახალი საპარლამენტო არჩევნები. ნურავის ნუ ყოფა ილუზია, რომ კანონების თუ კონსტიტუციის მოშველიებით ეს პარლამენტი ბოლომდე შეინარჩუნოს. დროზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება მისი არჩევნების დანიშვნის შესახებ, სანამ ეს ხალხი ისე არ აღშფოთებულა, რომ პარლამენტის არჩევნების დანიშვნა სახვეწად არ გახდომიათ მის მოწინააღმდეგეებს.

დრო კი ყველაფერს თავის ნამდვილ სახელს დაარქმევს. მაღლობა უფალს, რომ რუს-ქართველთა ძმობის ღრმა ფესვებს უცხოეთის ლაქია პარაზიტების შხამი ვერაფერს აკლებს! ქართველი ხალხი დემოკრატიის ჯადოს მაგიდან თავს დაიხსნის; ყველა ცრუ სტრატეგიულ პარტნიორებს და მეგობრებად გასაღებულ დამაქცევრებს შემოიფერთხავს; გამოთლიანებას და აღორძინებას ნამდვილ მეგობართან ერთად იზიარებს!

ბიძი სომხიშვილი, მწერალი, სიღნაღი.

სამებროს ღირსეული შვილები

ეს სარმან თურქია მეფისნაცვალის დავალებით, რევოლუციონერებს ებრძოდა, აფხაზეთში შავრაზმელთა მეთაური იყო და მრისხანე სახელი ჰქონდა გავარდნილი. მან შემატყო, იარაღს უსისხლოდ რომ არ დაეთმო და ამ-ჯობინა, მშვიდობიანად დამშორებოდა. სოფელ მერკულაში როცა შევედი, ერთი ცხენოსანი კაცი შემომხვდა. ჯერ მონინებით დამინყო თვალიერება და გამოსწორდა თუ არა, თავაზიანი სალა-მი მომცა. შემდეგ უკან გამობრუნდა და აფხაზური ნების მიხედვით, ერთხანს ცხენით გამაცილა.

იგი აღმოჩნდა მასწავლებელი სიმონ ადამია. გამომშვიდობებისას, ბოდის მხრივ, ვინაობა მკითხა. როდესაც ვუ-პასუხე, ელვის სისწრაფით ჩამოხტა ცხენიდან და ცხენზე მჯდომარეს ნელ-ნელა შემომხვია. მეც ჩამოვქვეითდი. მა-შინ მითხრა, რომ იყო ჩემი ძმის, ლევანის, ღვიძლი და განუყრელი მეგო-ბარი და დიდი მოკეთე. მთხოვა, ჩემს მხლებლებთან ერთად ოჯახში გავყო-ლოდი. იქვე გამენდო — ძვირფასო გვანჯი, მე შეიძლება დღეს თუ ხვალ და-ვიღუბო, ჩემი სიცოცხლე რევოლუცი-ურ მოძრაობას დავეუკუძირე და ვხედავ, რომ რევოლუციის მალე ჩაახ-მობენო. მე გავყვი სიმონ ადამიას. სა-უკეთესო ვანძაში გამართა. ახლო მეგობრებს დაუძახა. ყველა გაახარა ჩემმა გაცნობამ. მთელი ღამე ქეიფში გავათენეთ. დილით მასპინძელმა გამო-იყვანა ერთი უღელი კამეჩი და მითხრა, ეს მცირე ძღვენი ჩემგან გქონდეთო. მე მადლობა მოვხსენე და უარზე დავდე-ქი, მაგრამ რადგანაც სიმონი გაჯიუტ-და, იძულებული შევიქნენ, ნამომეყვანა ეს კამეჩები და გზაში ვარუქე ჩემს მხლებლებს, რომლებმაც ამის გამო დი-დად გაინარეს.

ჩვენ უკვე აჩიგვარაში ვიყავით. ვხე-დავ — გზაჯვარედინზე უამრავი ხალხი მეგროვილა. ზოგიერთები შეკაზმულ ცხენებზე სხედან. გამოჩენისთანავე, ყველამ ჩემკენ დაიხყო ცნობისმოყვა-რედ ყურება. მალე ამ ჯგუფს ორი კაცი გამოეყო, გზა გადაგვიღობეს, სალაში მოგვცეს და გაითხრეს, ჩვენს ხელმძღ-ვანელთან უნდა წამოძრებოდეთო. მე და ჩემი მხლებლები, სრულიად უშიშრად, უსიტყვოდ გავყვიეთ. მივიღი და ვხე-დავ, რომ ზის ჭალარანგერისი, ზორბა ტანისა და პირქუში გამომეტყველების კაცი. მკვახედ მკითხა, ვინ ბრძანდებიო. მე მშვიდად, აუღელვებლად ვუთხარი, თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით-მეთქი. რეჯებ ხახუბია ვარო, მოკლედ და ცი-ვად მიპასუხა. ჯერ კიდევ ჩემს გაკა-ტორლებამდე გავიწილი მქონდა, რომ იგი ორი კაზაკის მკვლელობის გამო ყა-ჩალად იყო გავარდნილი. ეტყობოდა, შემოირიგეს. მან ამაყად განმაცხადა, რომ მთავრობისგან დავალებული ჰქონდა, საეჭვო პირები დაეკავებინა და იარაღი აეყარა. მეც არანაკლებ ამაყად ვუთხარი — პატივცემულო რეჯებ, გახ-ლავართ გვანჯი ჩიქოვანი, დაბრუნებუ-ლი ვარ ციმბირიდან და მერე რუსეთ-იაპონიის ფრონტიდან. იარაღი მტრისთვის არ ჩამიბარებია ფრონტზე და უნდა იცოდეთ, ოჯახში დაბრუნებუ-ლი, ჩემი ნებით იარაღს არავის ჩავაბა-რებ-მეთქი. რეჯებმა მყისვე შეცვალა ლაპარაკის კილო და მითხრა — მე გვან-ჯი ჩიქოვანს არასდროს არ ვაკადრებ იარაღის ჩამორთმევას და უნდა გვაპა-ტიოთ, მე პირადად არ გიცნობდი, თუმ-ცა შენი ამბავი ყველაფერი გავიწილი მქონდაო. ეხლა ხელს ალარ შეგიშლით, არ დაგაგვიანებთ, რადგანაც ოჯახში მიიჩქარით, მაგრამ ისე კი თუ გვიკად-რებთ და ნებას დაგვრთავთ, მოხარული ვიქნებით, პატივი გცეთო. მე დიდი მად-ლობა გადავუხადე ამ კაცს და გამოვიმ-შვიდი. მალე გზაში ჩემი დეიდაშვილი ნიკო ზვამბაია შემომხვდა და გადამეხ-ვია, სახლში წამიყვანა. ვისადილეთ, და-ვისვენეთ. კამეჩები იქ დავტოვეთ. გადავდით ენგურზე და ჩამოვედით სა-მეგრელოში. შევედით ლეჭითანეში, იმ სოფელში, სადაც მე აღმზარდეს. გული ბავშვივით მიძვრდა და იქაურობას სხვანაირი სიყვარული ვათვლიერებ-დი. ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ღობე და ღელე ჩემს ბავშვობას მაგონებდა.

ცოტაც გავიარე და გზად შემომხვდა იოსებ კუხალაიშვილი, პრინცი მიურა-ტის ვეჟილი. მან იმნუთასვე მიცნო, გა-ხარებულმა წამოიძახა — ჩემი გვანჯიო დააძრო ნაგანი და ჰაერში ზედიზედ დასცალა. მთელი სოფელი ფხზზე დად-გა, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა ორლობეში გამოცვივდა, გამოე-

ფინა კორხელისა და როყის საზოგადო-ება; პირზე ყველას ეს ეკერა — გვანჯი დაგვიბრუნდაო. მეხვეოდნენ და მკოც-ნიდნენ. ოჯახში მახარობლები გავზავ-ნეს. მალე მრავალი კაცისა და ქალის თანხლებით ჩავვედი სოფელ ჭკადლაში, ფეხი დავდგი ჩემს ეზოში. მამაჩემი სახ-ლის კიბესთან იდგა. მე არ შემიძლია სიტყვიერად გამოვთქვა ის მღელვარე-ბა, რასაც მამამ განვიცდიდი, თუმცა იმას კი ვცდილობდი, რამდენადც შე-მძღო, თავი შეემეკავებინა. მივედი მა-მამამთან... მან მგრძობიარედ შემომხვდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: მოხვედი, ბიჭო! ეს სიტყვები ყველაფერს ნიშნავდა — მან მკაცრად დაიცვა ძველებური ტრადიცია, რადგა-ნაც მიღებული იყო, რომ მამა არასოდეს არ უნდა გადახვეოდა შვილს — ეს არ იყო ვაჟკაცური ნეის, ვინაიდან შვილი, რომელსაც მამა ფერებით ანებიერებდა, მტრებთან ვერ გამოიჩენდა სიმამაცესა და გულადობას, სიმტკიცეს. დედაჩემიც მალე დაბრუნდა.

მთელი კვირის განმავლობაში, დღე-დაღამე განუწყვეტელი სტუმრობა იყო და სუფრა არ ალაგებულა. მოდიოდნენ ჩვენი ოჯახის ახლო თათბირეული ნა-თესავები, საჩუქრებს ბოლო არ უჩანდა. მეც ყველას ვასაჩუქრებდი და ჩემებუ-რად ვცემდი პატივს, რადგან ფული კარგად მქონდა. მამაჩემი შორსმჭვრე-ტელი და დიხჯი ადამიანი, მიხვედრილი კაცი იყო. სახეზე ნალველი ემჩნეოდა.

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

მან მამინე შემატყო, რომ თავისუფალი არ ვიყავი და როცა ყველაფერი ვუამბე, მითხრა — რაც არის, არის, ვაჟკაცს გუ-ლის გატყვევა არ მართებს და რადგანაც ამდენი ამბავი გამოგვილია, მნამს, არც ამის შემდეგ დამარცხდებითო. მამის ასეთმა თანადგომამ ძალა და გაბედუ-ლება გამიორკეცა, სიმხნე და ენერჯია შემემატა.

სოფელში ყველანი გაფაციცებით და მღელვარებით კითხულობდნენ რევო-ლუციის ამბებს. იმ დროს ზუგდიდის მაზრაში ცნობილი იყო რევოლუციონე-რი ვასო ალშობაია, რომელსაც ხალხში დიდი სიყვარული და ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. ვასოს ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს აქტიური რევო-ლუციონერები და თათბირობდნენ. ჩე-მი ჩამოსვლა რომ გაიგეს, მესტუმრნენ. ვასო საუკეთესო მოლაპარაკე და შესა-ნიშნავი მესახედაობის ვაჟკაცი იყო — მეტისმეტად სძაფდა თვითმპყრობელო-ბა და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ რევოლუცია გაიმარჯვებდა. ვასოს თან მოყვნი მუშნი დადიანი, ნესტორ კალანდარიშვილი, პეტრე და სპირიდონ კედიები, სხვანი და სხვანი, სულ ორმო-ცამდე რევოლუციონერი. ვასომ და და-ნარჩენებმაც გულმოდგინედ გამომკითხეს რუსეთის მდგომარეობა და რევოლუციის მიმდინარეობის ამბე-ბი. მე მათ ყველაფერი მოვუყვი, რისი მონვე და მოხანსაც ვიყავი. ვასო ალ-შობაია ძლიერ გაახარა და ააღელვავა ლა-დო ჯოხაძისა და მისი მეგობრების ამბავმა, მათს გაქცევაში ჩემმა მონანი-ლეობამ. იმხანად უკვე მოდიოდა ხმები ალიხანოვის მიერ იმერეთში მონყობი-ლი რბევის და ანიოკების თაობაზე. მა-ლე ალიხანოვის რაზმები, ცეცხლითა და მახვილით, გურიასა და სამეგრელოს მოადგა. სამხრელი ტერორი მძვინვა-რებდა. ვასო ალშობაია, როგორც ცნო-ბილი და სამომი რევოლუციონერი, ყველაზე მეტ საფრთხეში იმყოფებოდა. ყველას ვავხუხებდა და გვაფიქრებდა ვასოს ბედი. ერთხმად ვურჩიეთ, რომ დაეტოვებინა ეს სამომი ადგილი და ჩვენთან ერთად წამოსულიყო ყაბარ-ლოში. ვასო უარზე დადგა, დინჯად გვითხრა — მე ხალხის თავისუფლები-სათვის ვიბრძვი. მე რომ გავიქცე, მთელ საზოგადოებას აიკლებენ... სჯობს, ერ-თი შეენიროს ასს და არა ახი — ერთსო...

მეორე დღეს, მე, მუშნი დადიანი, ნესტორ კალანდარიშვილი, პეტრე და სპირიდონ კედიები და სხვები მოვგ-როვდით პროკოფი ჩიქოვანის ოჯახში

და ვთათბირობდით, თუ როგორ მოვე-ცეულიყავით, რანაირად გადაგვეჩინა ვასო და თვითონ ჩვენ რა გზას დავდგო-მოდით. ამ დროს გაისმა თოფის ხმა და შემზარავი ნიოკობა. გამოვედით აივან-ზე და მალეა ჭკადლაშიდან გველის გუ-ლის გამომბი ყვირილი, ვასო ალშობაია მოკლესო. ჟანდარმები თავს დასხმოდ-ნენ ვასოს და ტყვიით განეგმირათ ეს საუკეთესო ადამიანი და შეუდრეკელი რევოლუციონერი. გულმოკლულები იქეთ გავეშურეთ და დავინახეთ, რომ ვასოს საკაცით მისაფენებდნენ თავის ოჯახში. მიუხედავად ჟანდარმერიის და კაზაკთა მიერ მონყობილი სამხრელი ტერორისა, ვასო დიდი პატივით დაა-საფლავა ხალხმა. იქ, სადაც ეს დიდებუ-ლი პიროვნება დაასაფლავეს, მისი სსოვნის აღსანიშნავად, ლეჭითანეს სა-საფლაო დააარსეს. ამ სისხლიანი ამბის მერე ჩვენი ჭკადლაში დარჩენა შეუძ-ლებელი იყო. მე, მუშნი, ნესტორი, სპი-რიდონი და პეტრე გავემგზავრეთ ჯვარში. ჯვარიდან რომ გადმოვიხე-დეთ, ჭკადლაში უზარმაზარი ცეცხლის ალი დავინახეთ. მუშნიმ გულზე ხელი დაიკრა — ხედავთ, ბიჭებო, ალიხანოვი-მა უკვე მამაჩემის სასახლე მისცა ცეცხ-ლსო. ეს ამბავი, სამწუხაროდ, მართალი გაამდა. ჩემი თანამგზავრები სვანეთ-ში გადავიდნენ.

მე ჯვარიდან ფრთხილად, ნამალე-ვად დავბრუნდი სახლში, შესაფერისად მოვემზადე და გადავედი აფხაზეთში,

სადაც განვიზრახე ფარულად ყოფნა, რათა გამხეცებულ ჟანდარმებს არ გა-დავყროდი. მართლაც, ნათესავ-მეგობ-რების ხელშეწყობით, ასე ფარულად ვიცხოვრე იქ ერთი წელი. ბევრი რევო-ლუციონერი ჩავივარდა ხელში სისხლის-მსმელ ალიხანოვ-ავარსკის, ბევრმა მოახერხა მიმალვა; სასტიკი რბევა გა-ნიცადეს იმერეთმა, გურიამ და სამეგ-რელომ — აშკარა იყო, ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია დამარცხდა და რეაქ-ციის შავი ძალები ზეიმობდნენ.

ამავე დროს მეტისმეტად გახშირდა ყაჩაღობა, მკვლევრობა. არ ყოფილა ერ-თი შემთხვევაც კი, რომ მე კერძო მოქა-ლაქის ან რომელიმე ოჯახის საზიანოდ რაიმე ცუდი საქციელი თუ უნსობა ჩა-მედინოს, მაგრამ პოლიციის აგენტები და ბინძური ადამიანები ჩემზე ავრცე-ლებდნენ ბინძურ ხმებს, თითქოს, საკუ-თარი მიზნებით, ყაჩაღთა ბანდებთან ვიყავი დაკავშირებული და იმათ საქმი-ანობაში ვიღებდი მონაწილეობას. ამ უნამუსო ცილისწამებამ ისე შემანუსხა და შეურაცხმყო, რომ გადავწყვიტე, ციმბირში დავბრუნებულიყავი. მშობ-ლები და ნათესავ-მეგობრები საშინლად გულდანწყვტილები იყვნენ, მაგრამ ისი-ნიც ხედავდნენ, სხვა გამოსავალი აღარ მქონდა. მამაჩემმა მეფისნაცვლის სა-ხელზე თხოვნა დააწერინა ცნობილ მოღვაწეს იონა მეუნარგიას. თხოვნა იმ-ნაირად იყო შედგენილი, ვითომ მე ციმ-ბირში ვიმყოფებოდი და მამაჩემი ითხოვდა შეწყვეტას და ჩემს დაბრუნ-ებას ოჯახში. სწორედ ამ დროს ჩამო-ვიდა პრინცი ნაპოლეონ მიურატი. მამაჩემი მივიდა პრინცი მიურატთან და სთხოვა, რომ მას ანელო ეს შეწყვეტის ქალაქი და მეფისნაცვლის ვორონ-ცოვ-დაშკოვისთვის გადაეცა. პრინციმა გამოართვა ქალაქი მამაჩემს და შე-პირდა, რომ ამ თხოვნას შესრულებდა. ჩემის მხრივ მე, დიდი ბოდის მხრივ, ვესტუმრე პრინცის დედას, პრინცესა სალომეს. მან ცივად მიმილო. მითხრა, თქვენზე ნანყები ვარ, რადგანაც ცუდი ამბები მომდის, ნამდვილად არ შეგფე-რით ასეთ ვაჟკაცს ყაჩაღების გვერდით ყოფნაო. მე აღელვებულმა ვუპასუხე: დიდებულო ქალბატონო! ნუთუ თქვენ გჯერათ უსირცხვილო და ბოროტი ადა-მიანების მონაჭორები. მე არასდროს არ დავეცემი ისე, რომ უსინდისო საქმი-ანობაში მივიღო მონაწილეობა... პრინ-ცესა ღრმად დარწმუნდა ჩემი ნათქვამის გულწრფელობაში და მითხ-

რა: ვიცი, შენი ოჯახის შვილი ცუდ საქ-მეს არ დაადგებოდით. ამოიღო უჯრი-დან ხუთასმანეთიანი და მარუქა. მე მხურვალე მადლობა გადავუხადე და წამოვედი.

მეორე დღეს, ჩემი გამზრდელის ცაკ-ვა ლავილა ვასო ოჯახს ვესტუმრე. დიდი პატივი მცეს, დიდადმა ხალხმა მოიყა-რა თავი. ატირდნენ, როცა გაიგეს, რომ მე ციმბირში უნდა დავბრუნებულიყავი. მოვიდა ერთი ახლობელიც, პეხუ მანია. ჩემი მდგომარეობა რომ გაიგო, თავზე ხელი შემოირტყა, მწარედ წამოიძახა — რას მოვდიოდი აქ, ვინ იცის, რა ფეხი მაქვს და ჩემს გვანჯის რა შეხვედბაო. მან რაღაც ძაფი ამოიღო ჯიბიდან, თა-ვიდან ფეხებამდე გამზობა, მერე ნავი-და და ჩემსიგრძე სანთელი ჩამოაქნევინა. შევიდა წმინდა ილორის ტაძარში და მუხლმოდრეკილი შევედ-რა წმინდა გიორგის — ისე ნუ მომკლავ, ჩემი გვანჯი მშვიდობით დაბრუნებული რომ არ მამჩვენო. მერე გავიგე, რომ პე-ხუ მანია ხშირად ლოცულობდა ჩემთვის და ჩემს სახელზე სანთელს ანთებდა.

მომდეგრო დღე მშობლებთან გავა-ტარე. დედაჩემი ნუთითაც არ მშორდე-ბოდა, მამაჩემს და თვალცრემლიანი ღმერთს ჩემს მშვიდობით დაბრუნებას ევედრებოდა. მამაჩემი დალონებული იყო და ჩემს გასამგზავრებლად ყველა-ფერს მღუშარებდა, უსიტყვოდ აკეთებდა.

დილით გამოვემშვიდობე ყველა ჩე-მიანს და ფრთხილად ჩავვედი ზუგდიდში გრიშა ჯიქიასთან, რომელიც ჩემი კარ-გი მეგობარი იყო. გრიშა ჯიქიამ და პა-ჭუ ალშობაიამ მოიყვანეს განთქმული მეეტლე ფუცურა ხარებავა, რომელსაც სწრაფი ცხენები ჰყავდა და გამიყვანეს ზუგდიდის გარეთ, მოშორებით, მისა ხუხუნის ოჯახში. იქვე შევხვდი დათიკო კოლორაიას. ის ღამე ქეიფში გავატა-რეთ. ყველანი განიცდიდნენ ჩემთან განშორებას. მეორე დილით დავემშვი-დობე ამ ჩემს კეთილსამყოფელებს და ისევ დაიძრა ეტლი, თამამად მქვედა სე-ნაკში. მეეტლე კმაყოფილი გავისტუმრე და ერთ პატარა რესტორანში შევიარე. იქ ვნახე სანდრო მოსლი, რომელსაც ჰქონდა სასტუმრო „კოლხიდა“. სანდ-რომ მიმიწვია და მეგობრული პატივი მცა. ჩემმა მდგომარეობამ ძლიერ შეა-ნუსხა. ოქროს თუმბიანი ჩამიღო ჯიბეში. ვუთხარი, რომ ფულის გასაჭირი არ მქონდა, სხვაგვარი დახმარება მჭირდე-ბოდა — უნდა აელო ბათუმის ბილეთი, რადგან იქ ბიქტორ ლოლუა უნდა მენა-ხა. გაეარდა და საჩქაროდ მომიტანა ბი-ლეთი.

ბათუმში მანამდე წამყოფი არ ვიყა-ვი. ჩასვლისთანავე ერთ უბრალო სამი-კიტროში შევედი. იქ ერთ კაცს ვკითხე, იცნობდა თუ არა ბიქტორ ლოლუას. ყველანი წამოცვივდნენ — როგორ არა, ახლავე აქ მოგიყვანთო. მართლაც, რამ-დენიმე ნუთში ბიქტორი ჩემთან იყო. გა-ხარებული გადამეხვია და წამიყვანა სახლში. სხვა სტუმრებიც მოინვია ჩემ-და საპატივცემულოდ. სუფრას გვიანო-ბამდე შევრჩით. მერე მომასვენეს. გათუხებას ალარაფერი უქლდა, რომ მე-ორე ოთახიდან ბიქტორის ხმა შემომეს-მა. უნებურად სმენა გავამახვილე. ბიქტორი ცოლს ელაპარაკებოდა — ნუ გენყინება და ეს საკერავი მანქანა და ოქროს საათი უნდა დავაგვირავო, გვან-ჯი ჩემი საუკეთესო მეგობარია და უსა-თუოდ ფულით უნდა დავეხმარო, შორ გზას ადგასო. ჩემი თავი გენაცვალოს, კიდევ სხვა რამეც დაავიროვე და მეგო-ბარს დაეხმარეო, უპასუხა ცოლმა.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)



მებრული (იბერიული) ენა ქართული ენის დიალექტი, თუ გლოტოგონიური უნოემენი?

დავუბრუნდეთ ისევ მეუფე ანანიას ნაშრომს. მას თავის აღნიშნულ ნაშრომში მოჰყავს ცნობილი მეცნიერის ივ. გიგინეიშვილის სიტყვები: „ახალი სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოყალიბებას შეიძლება მეტი წელი დასჭირდეს, მისი ჩამოყალიბება მხოლოდ მე-19 საუკუნეში გახდა შესაძლებელი და ეს ენაც კი არ იყო ისეთი სრულყოფილი ნორმების მქონე ლიტერატურული ენა, როგორც ძველი ქართული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ენის ნორმალიზაციისა და სრულყოფისათვის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოიძებნა გაცილებით მეტად ხელსაყრელი გარემოება და პირობები არსებობდა, ვიდრე ძველ საქართველოში, თუ ახალი სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოყალიბებას ამდენი დრო დასჭირდა, ცხადია, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი საუკუნე დასჭირდებოდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და სრულქმნას, ვიდრე ის იმ დონეზე ავიდოდა, როგორც სალიტერატურო ენა, რა დონეზეც „შუშანიის წამების“ ან ოთხთავისა და ბიბლიის ქართული თარგმანების ენა“ (იქვე გვ. 61). ვის შეუძლია ზუსტად განსაზღვროს პროტოქართული ენის განვითარების ხანგრძლივობა, მაგრამ იმ პირობებში, რა პირობებშიც პროტოქართულ ენას უხდებოდა განვითარება, ალბათ 10-ჯერ მეტი დრო დასჭირდებოდა სალიტერატურო ენად ჩამოყალიბებამდე, ვიდრე დასჭირდა ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას. მაგრამ რა ვქვამთ 523 წლამდე იმ პროტოქართულ ენას?

აკად. დ. მუსხელიშვილი წერს: „თვითონ ტერმინი „საქართველო“ მეათე საუკუნის დროინდელია და, კანონზომიერებისა, იმ დროს განიჭა (ქართლმა სამეფოს სტატუსი 899, თუ 888 წელს მიიღო, კ.ფ.). უფრო ადრე ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა სახელი ეწოდებოდა“ (დ. მუსხელიშვილი, როგორ გააქართველა ქართლმა როგორც ქართველი ისე არაქართველი ტომები და საიდან განიჭა სახელწოდება „გურჯისტა“, 1-ლი „თბილისელები“, 2011, 1-7 აგვისტო, №31).

გავაგრძელოთ ივ. გიგინეიშვილის აზრის განვითარება მეუფე ანანიას მიერ: „მეხუთე საუკუნემდე ქართულ სალიტერატურო ენის განვითარებას გრძელად გზა უნდა გაეგეღო. ასე განვითარებული და უნიფიცირებული სალიტერატურო ენა მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში შეიძლება შექმნილიყო“ (იქვე გვ. 61).

„მეცნიერის (ივ. გიგინეიშვილი, კ.ფ.) შეხედულებით, მეხუთე საუკუნემდე ბევრად უფრო ადრე, ვერ კიდევ მწერლობის წარმოშობამდე არსებობდა საერთო-სახალხო ენა. ცხადია, ეს საერთო სახალხო ენა იყო საერთო ქართული ფუძე ენა, რომელიც ფარგლებს მეფემ სახელმწიფო ენად გამოაცხადა. ენობრივი ერთობის დროს ეს საერთო-სახალხო ენა გამოიყენებოდა ყველა ქართული ტომის მიერ კულტის მსახურებისა და სხვა მიზნებისათვის.“

„საერთო-სახალხო?! ენა, რომელიც ბატონობდა დიალექტებზე და იმორჩილებდა მათ, მწერლობის წარმოშობამდე უნდა ყოფილიყო.“

სამწერლო ენის არსებობა კი დამწერლობის წარმოშობიდან იწყება, ე.ი. Vს-ზე გაცილებით უფრო ადრე, ქრისტიანობამდე ეპოქაში.“

დავასკვნათ, რომ ვერ კიდევ IV-III საუკუნეებში ქართლის სამეფოში ანუ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ხალხს უკვე ჰქონია ერთი რაობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ელემენტი – ენის ერთობა. ეს იყო საერთო-სახალხო, სალიტერატურო, სახელმწიფო და კულტურისთვის საერთო ქართული ენა, რომელსაც ჰქონდა დიალექტები, როგორც ყველა ცოცხალ ენას“ (იქვე გვ. 62-63).

რა თქმა უნდა, ამ დიალექტებში, მეუფე ანანიას შეხედულებით, მეგრულ-ლაზური და სვანური მოიაზრება. მაგრამ უძღურია სიმართლის წინაშე და ფაქტია, რომ ის გვერდით ვერ უვლის იმ ჭეშმარიტებას, რომ უცხოელები არ იცნობენ „ქართველს“ და „საქართველოს“, უძველესი დროიდან იცნობენ მხოლოდ „იბერებს“ და „იბერიას“, ხოლო ქართველები, რომლებმაც სამეფოს სტატუსი მოიპოვეს პირველად, თავისი არსებობის მანძილზე, მე-10 საუკუნის დასაწყისიდან და, საეჭვოდ, მუდამ სხვის ქვეშევრდომობაში მყოფი, მშობლიური დიალექტზე მწერლობა ჰქონიდათ, ლეონტი მროველის მოტივირებული ცნობაზე დაყრდნობით ძალმოცემული, საერთოდ უგულებელყოფენ იბერიის არსებობას და „იბერების“ და

„იბერიის“ ადგილზე მხოლოდ „ქართველებს“ და „საქართველოს“ მოიხსენიებენ.

წარმოვიდგინოთ მეუფე ანანია ჯაფარიძის წიგნიდან ვრცელ ამონაჩივრს: „აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნამდე და ზოგჯერ მის შემდეგაც, ევროპელები და უცხოელები, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს უწოდებდნენ იბერიას, ხოლო ხალხს – იბერებს.“

ცნობილი ისტორიკოსი, მღვდელი მიქელ თამარაშვილი, რომელიც ბრწყინვალედ იცნობდა უცხოურ წყაროებს საქართველოს შესახებ, წერს: „უწინ ევროპელები „იბერია“ და „გეორგია“-ს სახელით ხშირად გულისხმობდნენ მის დასავლეთ ნაწილს – იმერეთ-სამეგრელოსაც“. ძველი ქართული მწერლობა და წყაროები სიტყვებს „იბერიას“ და „იბერს“ არ იყენებენ, ეს სიტყვები არაქართულ ტერმინებად იყო მიჩნეული. ამიტომაც ქართველი მთარგმნელები ამ სიტყვებს თარგმნიდნენ ასე (ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს): „იბერი“ – ქართველი, „იბერია“ – საქართველო.“

ძველ ქართველ მთარგმნელებს სადაც კი შეხვედრიათ სიტყვები „იბერი“ და „იბერია“, ყველგან უთარგმნიათ „ქართველად“, მიუხედავად იმისა, შესაბამისობა თუ არა რეალურ ვითარებას ასეთი თარგმნა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ესპანეთის იბერიის შესახებ ევროპული თხზულებების ძველქართული თარგმანები. აქ ყველგან „იბერი“ თარგმნილია „ქართველად“.

„ასე: ...ცნობა დასავლეთის იბერების შესახებ მოიპოვება ბასილი კესარიელის (329-379) უძველეს ქართულ თარგმანში. იგი თარგმნილია VIII-IX საუკუნეებში“ (დასაბუთებული არა აქვს, მართლაც ამ დროს თარგმნა თუ არა, კ.ფ.).

ქართველ მთარგმნელებს ქვემოთ მოყვანილი წინადადება – „თავდაპირველად ზღვა არ არსებობდა, არც ის შემადრწუნებელი უფსკრული იყო, რომელიც ეკვრის კუნძულსა და დასავლეთის იბერიას (ესპანეთს)“, უთარგმნიათ ასეთი სახით:

„არა იყო ზღვა... არცა შესაძრწუნებელი იგი სიღრმე... რომელი იგი გარე მიადგეს ჭალაკს მას ბრიტანიაჲსა და ქართველთა მათ დასავლეთისა“.

როგორც ვხედავთ, აქ „დასავლეთის იბერია“ თარგმნილია „ქართველთა მათ დასავლეთისათად“, ანუ უცხო სიტყვა „იბერია“ ითარგმნა ასე: „ქართველნი“.

იგივე წინადადებას ვითრემო მიაწმინდელი თარგმნის შემდეგი სახით: „არა იყო უფსკრული, რომელი გარე შეიცავს ჭალაკს და ქართველთა მათ დასავლეთისათა“.

ექვთიმე თაყაიშვილიც „კელტ-იბერებს“ თარგმნის „კელტ-ქართველნი დასავალისანი“.

„ძველი ქართველი მთარგმნელების მიერ ესპანეთის იბერიის აღსანიშნავად შემოთავაზებული ტერმინი – „ქართველნი დასავალისანი“... პირინეის ნახევარკუნძულის იბერიელები მოხსენიებული არიან ტერმინით „ქართველნი დასავალისანი“ „ლიბერ გენერაციონის“-ის ქართულ ვერსიაშიც“.

თუ VIII-IX საუკუნეებში და XI საუკუნის დასაწყისშიც „იბერია“ ითარგმნება როგორც „ქართველნი“, XI საუკუნის შემდგომ უკვე „იბერიის“ აღსანიშნავად სხვა ტერმინია გამოიყენებული.

ამჟამად მიღებულია, რომ „ბერძენთან „იბერიად“ ცნობილ ქვეყანას ადგილობრივ – „ქართლი“ სახელი დაუმკვიდრდა“.

ისმის კითხვა და ამ კითხვის პასუხი არსებითია – VIII-IX საუკუნეებში „იბერია“ რატომ ითარგმნება როგორც „ქართველნი“ და არა „ქართლი“?

პასუხი ასეთია – VIII საუკუნეში „ქართლი“ დაიშალა და წარმოიქმნა „აფხაზეთი“, „ქართლი“ (ე.ი. ტაო-კლარჯეთი ქართლთან ერთად) და აკახეთ-ჰერეთი“. მაგრამ სამივე ამ პროვინციის მცხოვრებნი იყვნენ „ნათესავთ ქართველნი“. ერთად აღებულ ამ პროვინციებს (ე.ი. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთად) VIII საუკუნის შუაწლებამდე შეესაბამებოდა ტერმინი „ქართლი“ ანუ „იბერია“. მერვე

საუკუნიდან კი საერთო ერთიან ქვეყანას „ქართლი“ იქვე აღარ ეწოდება, – ძველი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნის გამო, რომელთაგან ერთ-ერთ პროვინციას შერჩა ძველი სახელი, ყოფილი ერთიანი სამეფოსა – „ქართლი“.

VIII-X საუკუნეთა ქართველმა მთარგმნელებმა კარგად იცოდნენ, რომ უცხოური ტერმინი „იბერია“ შეესაბამებოდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთად აღებულს – ძველი ქართლის სამეფოს. ამიტომაც VIII-X საუკუნეთა მთარგმნელები ტერმინ „იბერიის“ თარგმნისას ვარდებიან ძალზე უხერხულ მდგომარეობაში. თუ ისინი „იბერიას“ თარგმნიან, როგორც „ქართლს“, მათი თარგმანი არაზუსტი და არასწორი იქნება, რადგანაც VIII-X საუკუნეებში „იბერია“ და „ქართლი“ უკვე აღარ უდრის ერთმანეთს, ეკვივალენტური აღარ არის. რადგანაც უცხოური ტერმინი „იბერია“ კვლავ ძველებურად ეწოდება აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთად, ხოლო „ქართლი“ ამ საუკუნეებში უკვე მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ ნაწილს ეწოდება. ამიტომაც მთარგმნელები ტერმინ „იბერიას“ არ თარგმნიან, როგორც „ქართლს“, მათ ტერმინ „იბერიას“ სხვა ეკვივალენტი გამოუძებნეს. მართლაც, რა სახელი უნდა დარქმეოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთად აღებულს. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ „საქართველო“ ამ ერთობის აღსანიშნავად ვერ კიდევ არ იყო გამოიყენებული (იგი იხმარება XI საუკუნიდან). ამ ტერმინის გამოიყენებამდე კი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მთლიანობის აღმნიშვნელი ძველი ტერმინის, „ქართლის“ გაცვეთის გამო, ამ კრებითობის ერთიანობის აღმნიშვნელი სიტყვის მაგიერ VIII-X საუკუნეთა მწერლები ხმარობენ სიტყვებს – „აღმოსავლეთი“ და „ჩრდილოეთი“.

თუკი VIII-X საუკუნეთა მთარგმნელები „დასავლეთის იბერიის“ თარგმნისას სიტყვა „იბერიის“ ნაცვლად გამოიყენებდნენ ახლ-მოძენილ ტერმინ „აღმოსავლეთს“, ეს მხოლოდ გაუგებრობას გამოიწვევდა. მთარგმნელებმა აირჩიეს სხვა გზა. მათ გეოგრაფიული შინაარსის ტერმინ „იბერიას“ გამოუძებნეს ეთნიკური შინაარსის მატარებელი ეკვივალენტი – „ქართველნი“. ეს ხერხი მთარგმნელებმა გამოიყენეს შეგნებულად და დაამკვიდრეს კიდევ საუკუნეთა მანძილზე, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ტერმინი „იბერია“ მატარებელი იყო როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნიკური შინაარსისაც. სივრცის ლექსიკონში აღნიშნულია: „იბერები – ტომის სახელია და იბერია – ქვეყანა. არის სხვა იბერიაც, დასავლეთისა“.

უცხო სიტყვა „იბერია“ VIII-X საუკუნეებში გადაითარგმნა როგორც „ქართველნი“. „იბერია“ ეწოდებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთად. ასევე „ქართველნი“ მოსახლეობდნენ იმ დროს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. უძველესი დროიდანვე ძველი ქართლის სამეფოს (ფარნავაზის სამეფოს) შექმნის შემდგომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ისევე ეწოდა ქართველნი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას. მერვე საუკუნის შუა წლებიდან ვიდრე მეათე საუკუნის დასასრულამდე, ე.ი. ძველი ქართლის სამეფოს გაუქმებიდან, ვიდრე საქართველოს გაერთიანებამდე, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულები არსებობდა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობას ქართველი ხალხი წარმოადგენდა. ამ მიზეზის გამო ტერმინი „იბერია“ გადაითარგმნა, როგორც „ქართველნი“. ცხადია, VIII-X საუკუნეებში აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთად „ქართლი“ რომ რქმეოდა, „იბერიას“ თარგმნიდნენ, როგორც „ქართლს“, მაგრამ იმ დროს „ქართლი“ ეწოდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს

ერთ ნაწილს, ამიტომაც „იბერია“ ითარგმნა როგორც „ქართველნი“, რადგანაც ქართველებით დასახლებული იყო როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველო და „ქართველნი“ უფრო ზუსტი ეკვივალენტი იყო „იბერიისა“, ვიდრე „ქართლი“ (VIII-X საუკუნეებში).

ძველ საქართველოში ტერმინებს „იბერიას“ და „იბერს“ ანიჭებდნენ ეთნიკურ შინაარსს და მიიხედვდნენ „ნათესავთ ქართველნი“ ფარდ სიტყვად. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ექვთიმე მთაწმინდელის ამბავი. მან მიიღო გადაწყვეტილება, გამეზავრებულიყო ესპანეთში, იმის გამო, რომ თითქოსდა ესპანეთი დასახლებული იყო ქართველი ხალხით. ამ შეცდომის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ის ტერმინ „იბერიაში“ ეთნიკურ შინაარსს სდებდა. ამიტომაც პირინეის ნახევარკუნძულის იბერებს მან, ისე როგორც სხვა ძველმა მთარგმნელებმა, უწოდა „ქართველნი დასავალისანი“.

აქედან ჩანს, რომ „იბერიას“ ჰქონდა ეთნიკური შინაარსი, როგორც ამ ეპოქაში, ასევე ანტიკურ ხანაში. ანტიკურ ხანაში „იბერიას“ შეესაბამებოდა ტერმინი „ქართლი“, ხოლო VIII-X საუკუნეებში (შესაძლოა VI-X საუკუნეებში) შესაბამისი ტერმინი „ქართველნი“. (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ისტორია, ტომი II, გვ. 162-165).

როგორც ვხედავთ, თითქოსდა, ლოგიკურია, მაგრამ სუსტი და არადაზავრებულია ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის მსჯელობები და არგუმენტები. ვერ ერთი, ის არ იცნობს ან შეგნებულად არ ახსენებს ავტორიტეტულ მეცნიერთა შრომებს, კერძოდ, იოანე პეტრიწის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, იოსებ ყიფშიძის, ალ. ცაგარელის, აკაკი შანიძისა და სხვათა შრომებს, მათს შესხედულებებს იბერთა (მეგრელთა) ენისაობისა და იბერიული (მეგრული) ენის ფენოლოგიის შესახებ და, მეორეც, ბრძანდ ენობა ლეონტი მროველის მიერ შეთხზულ ნაწარმოებს, რომელშიც გამოყენებულია „მოქცევა ქართლისა“ -ს ცნობები და 978-1008 წლებში ქართველი ერის სინაღდელიში მომხდარი ისტორიული ფაქტი (ქართლის უფლისწულის ბაგრატ III ბაგრატიონის გამეფება ვერის-აფხაზეთში ბიძამისის – ვერის-აფხაზეთის მეფის – თეოდოს II მიერ, შემდეგ 1008 წელს ქართლის შემოერთება და საერთო სახელმწიფო ენად ქართული ენის მიღება) და რომელიც თავისი სურვილისამებრ გადააკეთებულ-ინტერპრეტირებული გადააქვს თითხმეტი საუკუნის წინ ფარნავაზის ხანაში. ის უცხო სიტყვად მიიჩნევს, მაგრამ არ ინტერესდება რომელი უცხო ენაზე შეიქმნა ეს ტერმინი და რას ნიშნავს სიტყვები „იბერი“ და „იბერია“ მისთვის უცნობ „უცხო“ ენაზე. პირიქით, საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის 2012 წლის გამოცემაში, ათი წლის წინათ გარდაცვლილი, ეთნიკურად მეგრული ანდრია აფაქიძის მიერ დაწერილ ნაშრომში ყოველად უსაფუძვლო ფრანგის, „იბერია ქართლის ელინური სახელწოდება“ (იხ. საქართველოს ისტორია, ტომი I, 2012, გვ. 264), თვითნებურად, თუ დაკვირვებით შეტანისათვის, რომლის მსგავსს ცოცხალი აკად-სი ანდრია აფაქიძე ვერასდროს წარმოიდგენდა, საგამომცემლო კომისიის თავმჯდომარე აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე საქართველოს საპატრიარქო ორდენით დააჯილდოვა.

ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია II წერს:

„გავიხსენოთ წმინდა ილია მართალი, რომელიც ქართველთა ფესვებს უკავშირებს ურარტულ წიადს, რასაც, ალბათ, ისიც განაპირობებდა, რომ ურარტულთა სამთავარ დეობას შორის უპირველესს „ქალდი“ ერქვა. ურარტულნი ქართველთა წინაპრნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორციანი“, – წერს იგი „ქება დადაღში“ და ამ აზრს მისი დროის უცხოელ მეცნიერთა კვლევებითაც ამყარებს. თავის ცნობილ ნაშრომში, – „იბერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, – კათალიკოს-პატრიარქი კირილიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ ქართველი შთამომავალი არიან ქალდეელთა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს უძველესი მსოფლიო ისტორიისა და კულტურის განვითარებაში.“

კუპური ფიფია, აკადემიკოსი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სახალხო მოძრაობა „სამებრელოს“ ზუმდიდის რაიონული ორბანიზაცია თანაშობრობს სოსო ანთიას შვილის დათო ანთიას ბარდაცვალების გამო

“რად გვინდა ეს მიწა-წყალი, თუ ამ ქართველმა არ იცხორავს?”

ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე დგას და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ თავი დავაღწიოთ ფიზიკური არსებობის შეწყვეტის საშიშროებას... აცხადებს დემოგრაფი პროფესორი ანზორ თითაძე, რომლის თქმითაც, დიდი ქალაქების გარდა, ქართველებით დასახლებულ ყველა რეგიონში მოსახლეობის კლება (გამონაკლისს მხოლოდ ხანხერე წარმოადგენს).

ანზორ თითაძე: - საქართველოში 59 მუნიციპალიტეტია და აქედან 36 მუნიციპალიტეტში უფრო მეტი მოქალაქე კვდება, ვიდრე იბადება. მოსახლეობა იკლებს გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, კახეთში (გამონაკლისია სვანეთი და თელავი, სადაც ბევრი ახერხებულა ცხოვრობს), რაჭაში, მცხეთა-მთიანეთში, სვანეთში, შიდა ქართლში. მოსახლეობის მატება კვებო ქართლში, რომელიც ძირითადად ახერხებულა იმ რეგიონების მიხედვით, რომლებშიც ბორჯომსა და ახალციხეში მოსახლეობის კლება. საგანგაშო მდგომარეობაა რაჭა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. 1980-89 წლებში საქართველოში 455 ათასი გოგონა დაიბადა, ხოლო 2000-2009 წლებში 236 ათასი. 1980-89 წლებში დაბადებული გოგონები ახლა აღწევს ისეთ ასაკს, სადაც ყველაზე მაღალია ნაყოფიერება და ამის გამო დღეს შედარებით მეტი ბავშვი იბადება, მაგრამ, როდესაც 2000-2009 წლებში დაბადებული გოგონები მიადრეკენ ამ ასაკს, შობადობა მნიშვნელოვნად შემცირდება. გოგონებზე ხაზგასმას იმიტომ ვაკეთებ, რომ ბავშვს ქალი ბადებს. ბიჭი მილიონობითაა რომ დაიბადოს, ამას სამომავლოდ დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

მეტად საშიშია ემიგრაციული პროცესი. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 4,5 მლნ-ია, მაგრამ გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებ-

ული ცნობის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისთვის შემცირდება და დაახლოებით 3,2 მლნ-მდე დაიწევს. მოსახლეობის რაოდენობა, ძირითადად, ქართველების ხარჯზე შემცირდება, რაც ჩვენი ერის კატასტროფას ნიშნავს.

2011 წელს 1 წლამდე 703 ჩვილი გარდაიცვალა. ყოველი ათასი დაბადებულიდან თითქმის 10 მკვდრად შობილი იყო. 2010 წელს ყოველი ათასი დაბადებულიდან 33 ჩვილი გარდაიცვალა. ცნობილი ფრანგი დემოგრაფი სორი ამბობდა, - ვერც ერთი ფინანსისტი, როგორც მკაცრიც უნდა იყოს იგი, უარს ვერ იტყვის სახსრებზე, რომელიც აუცილებელია ბავშვთა სიკვდილანობის შესამცირებლად. რაც უნდა იდგი იყოს დანახარჯი, არ შეიძლება ბავშვს სიკვდილის განაჩენი გამოუტანოთ, რათა ცოცხლად დარჩენილია უფრო უკეთესი ცხოვრება უზრუნველყოთ. როდესაც ჩვენი სატელევიზიო არხები თითქმის ყოველდღიურად აცხადებდნენ მძიმედ დაავადებული ბავშვებისთვის დახმარების გაწევას, პრეზიდენტის ახირებით ასეულობით მილიონი ლარი იხარჯებოდა ძვირადღირებულ კონტრტებზე, პოტიომკინის სოფლებსა და დაღვარებულ შენობებზე, როდესაც ერის ფიზიკური წყვეტის, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, პრეზიდენტმა თავისი საქმიანობა დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად, შობადობის გასაზრდელად უნდა წარმართოს და თავის ხუშტურებზე არ უნდა ფიქრობდეს.

საგანგაშოა ისიც, რომ იცლება საზღვრისპირა სოფლები, სადაც გლეხს მესაზღვრის ფუნქციაც აქვს.

უბედურებაა, რომ მთიანი სოფლები იცლება. 10-15 წელიწადში რაჭა-ლეჩხუმს გადასვნილია ემუქრება და თუ საგანგებო ღონისძიებებს არ მივმართავთ, იქ გაუკაცრიელდება დაიწყება, რაც უკვე გვაქვს ჩვენს ისტორიულ პროვინციებში: თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში. დღეს იქ თითო-ორი კაცი ცხოვრობს, საუკუნის წინ კი 5-6 ათასი მცხოვრები იყო. ბევრ სოფელში უკანასკნელი კერაც გაცივდა. 162 ქართულ სოფელში მოსახლეობა საერთოდ აღარ არის.

კანონზომიერებაა, რომ ცარიელი ადგილი დიდხანს არ რჩება და ქართველების ადგილს უკვე სხვა ეროვნების ხალხი იკავებს.

უბედურებაა ქართველების ქვეყნიდან ემიგრაცია. წახვლისას ამბობენ, დაგბრუნდებითო, მაგრამ ძალიან ცოტა დაბრუნდება. ქართველები საქართველოდან მიდიან და მათ ადგილს უცხოტომელები: აფრიკელები, ინდოელები, პაკისტანელები და ჩინელები იკავებენ. არ შეიძლება უცხოელების ასე ხელაღებით შემოშვება! “ნაციონალურმა მოძრაობამ” თითქმის 100 ქვეყანას მისცა უფიზო საქართველოში შემოსვლის უფლება და ქვეყანა აივსო სხვადასხვა ჯურის ხალხით. ხომ უნდა დაფიქრდეს ვინმე, რატომ არ იქცევა ასე ჩვენი მეზობელი სომხეთი? სომეხი უფლის თავის მიწა-წყალს და სხვატომებს იქ არ უშვებს. თუ წლების წინ სომხეთში მოსახლეობის 97% იყო სომეხი, ახლა 99%-ია. ჩვენ კი ამ მიმართულებით თუ რამე ვთქვით, არასამთავრობო ორგანიზაციები გამოცვივდებიან, ქსენოფობიას დაგვებრალებენ და არავინ ფიქრობს, რა იქნება მომავალში ასეთი პოლიტიკის შედეგი.

გავიგე, რა ზღაპრად ქართველები გარბიან, მაგრამ იქ ბოლო დღის ჩინელები გამოჩნდნენ და კარგი მოსავალიც მოჰყავთ.

უნდა აღირიცხოს, რამდენი მიწა გაიყიდა უცხოელზე. გადამთიელები აქ მიწის დიდი მასივების შესაძენად მოდიან. ჩვენი სიმდიდრე თანდათან სხვის ხელში გადადის. ქართველები ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს თუ ასე გავანიავებთ, ნაქურჩაღის ამარა დაერჩებიან.

“ნაციონალისტებთან” მსმენია, უცხოელები მიწას ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებენ და წაიღებენო.

რას ჰქვია, ზურგზე არ მოიკიდებენ. როდესაც მიწა მათი საკუთრებაა, იქ არ შეეიშვება. ციმბირიდან რუსებმა ჩინელები და იაპონელები განდევნეს, რადგან მათ იჯარით აღებულს ტყეები განეხეს, ნაფორიც კი არ დატოვეს ტყეში. ნაფორებისგან კბილის საჩინქნი ჩხორები გააკეთეს და ნახერხისგან - პამპურები. ინვესტორებმა მიწის ნაყოფიერი ზედა ფენა აიღეს და მატარებლებით გაიტანეს ჩინეთსა და

იაპონიაში. უცხოელები რას დაეძებენ ჩვენს მიწას, როდესაც მარტო მოგებაზე ფიქრობენ. ხელში ჩაიგდებენ, ყველაფერს, გამოწოვენ და გამოშიგნავენ. მარტო მიწას კი არ იყიდიან, ყველაფერი მათ ხელში აღმონდება. მე-19 საუკუნის მიწა-წყალს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოელი ქართველების ქონება სომხების ხელში გადავიდა. რუსთაველის (მაშინდელი გოლოვინის) პროსპექტზე მხოლოდ 2 სახლი იყო ქართველების. ოქტომბრის რევოლუციამ სულზე მოგვისწრო, თორემ რა გველოდა ჩვენი ბედოვლათობის გამო, კაცმა არ იცის.

გახსოვდა ქორწილები სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან რა გავლენას მოახდენს დემოგრაფიულ სურათზე?

გენოფონდი რომ არ გადაგვარდეს, ეროვნებათაშორისი ქორწინების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. პროფესორმა ვაჟა გურგენიძემ გამოიკვლია 1980-88 წლებში იმ ოჯახების მდგომარეობა, სადაც ერთი მშობელი არაქართველი იყო. როცა მამა ქართველი იყო და დედა სხვა ეროვნების, 2%-ის გარდა, ყველა შვილი ქართველად იქცეოდა, მაგრამ როდესაც მამა სხვა ერის იყო და დედა ქართველი, ბავშვების მხოლოდ 40% იქცეოდა ქართველად. 1988 წელს თბილისში ქართველთა ეროვნებათაშორისი ქორწინებების 90%-მდე მოდიოდა რუსებზე, სომხებსა და ოსებზე. ადრე თუ ძირითადად ვაჟები ქორწინდებოდნენ სხვა ერის წარმომადგენლებზე, ახლა გოგონებმა გაასწრეს. ჩვენი გოგონები ახლა ადვილად თხოვდებიან აფრიკელებზე, ინდოელებზე, ევროპელებსა და ამერიკელებზე.

ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით, რა საფრთხის წინაშე ვართ. რად გვინდა ეს მიწა-წყალი, თუ აქ ქართველმა არ იცხორავს? ქართველი ერის გადასარჩენად დემოგრაფიული აღორძინების ფონდით მესამე შეიღებულ ოჯახებს ყოველთვიურად დაეხმარება. დემოგრაფიულ პრობლემას მხოლოდ რამდენიმე ოჯახის მრავალშვილიანობა ვერ გადაწყვეტს. ქართველი ერის გადარჩენა მხოლოდ ყოველ ოჯახში დაბადებულ მესამე შვილს შეუძლია.

ი. რიპაძე

სამხედროლორმინი შეიარაღებული ამერიკელი აშშ-ის საელჩოსთან სირიის მხარდამხმარ დემონსტრანტებს ღაერია

„ამერიკას სურს, მოისყიდოს ყველა ქვეყნის ხელისუფლება, ხოლო თუკი ვერ მოისყიდის და თავისი ქვეყნის ინტერესების გამტარებელი პრეზიდენტი ჰყავს ქვეყანას, მაშინ ის ცდილობს, დაამხო ის ხელისუფლება და ის პრეზიდენტი, როგორც გამსახურდია დაამხო 20 წლის წინ საქართველოში, როგორც ასადს ამხობს დღეს სირიაში“...

რაც დღეს სირიაში ხდება, იგივე მოხდა 1991-92 წლებში საქართველოშიც...

„ივანიშვილი მიდის იმიტომ, რომ მან უკვე შეასრულა ამერიკის დავალება“...

6 სექტემბერს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღდგენის საინიციატივო ჯგუფმა ამერიკის საელჩოსთან გაატარა ბაშარ ასადისა და სირიელი ხალხის მხარდამხმარ აქცია. აქციის მონაწილეებს ინგლისურ და ქართულ ენებზე გამოტანილი ჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლებზეც ეწერა: „ხელები შორს სირიაში“, „შეანერგო სამხედრო ინტერვენცია სირიაში“, „შეწყდეს ინსპირირებული ომი სირიაში“. როგორც აქციის ინიციატორმა, ქალბატონმა ეთერ მგალობლიშვილმა აღნიშნა, უკვე ორი წელია, რაც ე. წ. მეამბოხეები მასონური ამერიკისა და მასონური ევროპის წაქეზებითა და მხარდაჭერით სირიაში ხელისუფლებისა და სირიელი ხალხის წინააღმდეგ აწარმოებენ ომს, რომელმაც ათი ათასობით უდანაშაულო, მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აქციას „ქალები მშვიდობისათვის“ ამერიკის საელჩოს მხრიდან ძალზე მწვავე რეაქცია მოჰყვა. მომხდარზე „საქართველო და მსოფლიოს“ „ქალები მშვიდობისათვის“ ხელმძღვანელი პიპო მბალტოპლიშვილი დეტალურად ესაუბრა.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის საელჩოს შენობისგან საკმაოდ მოშორებით ვიდრე (მოგესხნებათ, გარკვეულ მანძილზე არ შეიძლება მიახლოება), ჩვენსა და სალონებს, შენობიდან სულ მეტივრე 15 სამხედროლორმინი, ხელჯოხიანი მამაკაცი გამოვარდა, რომელთაც სასტიკად ავიკრძაბეს. დღეს იქ დგამს და ტრანსპარანტების გაშლა. იქ საზოგადოებრივი მარშებიც კორეპონდენტები იყო, რომელსაც მივარდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

ხელი დაფარეს ოპერატორის კამერას, გადაუყარავეს ეს კამერა და კატეგორიულად გააფრთხილეს, რომ აღარაფერი გადაეღო. შემდეგ საელჩოსადგენი ერთი პიროვნება გამოვარდა, იარაღიანი. უფროსი იყო, როგორც ჩანს, რადგან სხვები მას ემორჩილებოდნენ. მოვარდა ჩვენთან და იკითხა, ვინ არის აქციის ხელმძღვანელი, თითქოს რაღაც დანაშაულს შეეწირა. მე გამოვეყავი ჯგუფს. სახელი და გვარი მოთხარით ახლავე, მომმართა აგრესიულად. უთხარით სახელი და გვარი და - ახლავე თქვენი პირადობის მოწმობა მომეცითო. დამნაშავეს რომ ტყვეის პოლიციელი, აი, დაახლოებით ასე შესაუბრებოდა. ჯერ ჩვენ აქცია არ დაგვიწყია და თქვენ მთხოვეთ პირადობის მოწმობა, რაშია საქმე-მითქი, ვითხე. ბუნებრივია, მაქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მაგრამ ჯერ აქციის დაწყებისა და დასრულების საშუალება მოგვეცით-მითქი, დავძინე. კანონის ენით ვგლაპარაკე, აუუსხენი, რომ წესრიგს არ ვარღვევდით, უბრალად, ვატარებდით სირიის მხარდამხმარ აქციას, თუმცა უშედეგოდ.

ფაქტობრივად, აქციის ჩატარების უფლება არ მოგვეცეს. მხოლოდ ცოტა ხნით მოვახერხეთ იქ ყოფნა და მხოლოდ ერთი-ორი ტრანსპარანტი გავშვალეთ. ჩქარა წადითო, გვიყვიროდნენ, დიდხანს არ გაგვანერგეს. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია არც ერთმა არხმა არ გააშუქა, როგორც ჩანს, საზოგადოებრივ მასშტაბულსაც კი აუკრძალებს ამ აქციის გაშუქება, დაბლოკეს ეს სიუჟეტი. მათი მხრიდან იყო მუქარა და, ალბათ, შემინდნენ ტელევიზიები. ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ამერიკას სურს, რომ ყველა ქვეყანაში ჰყავდეს მარიონეტი პრეზიდენტები. როდესაც მამა ბუშმა ნახა, რომ ზვიად გამსახურდია ვერანაირად ვერ იქნებოდა მარიონეტი და ის იყო დამოუკიდებელი და ქართველი ხალხის ინტერესების გამტარებელი პრეზიდენტი, გამოიყენეს იარაღი და დაამხეს ზვიად გამსახურდია. დახა, რაც დღეს სირიაში ხდება, იგივე მოხდა 1991-92 წლებში საქართველოშიც, ამერიკელებმა მაშინაც ზვიად გამსახურდიას კანონიერი, ლეგიტიმური ხელისუფლება დაამხეს, იმიტომ, რომ ის იყო ეროვნული ხელისუფლება, ანუ მოხდა პუტჩი, რომელსაც, სამწუხაროდ, სამოქალაქო ომს უწოდებენ. არანაირი

სამოქალაქო ომი ეს არ იყო და, რაც ჩვენთან მოხდა ოცი წლის წინ, რაც ჩვენთვის მიუღებელი იყო, ზუსტად ის ხდება დღეს სირიაში, ამიტომაც არის ყველაზე ეროვნული ძალებისთვის.

სირიელ ხალხს, ბაშარ ასადის ხელმძღვანელობით, სურს დამოუკიდებლობა, სურს, იბრძოდეს თავისი ხალხის ინტერესებისთვის და თავისი ღირსებისთვის. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ, ორი წელია, გააფრთხილები ბრძოლა და ხალხი კანონიერი პრეზიდენტის გვერდით არის და იბრძვის ე. წ. ოპოზიციის წინააღმდეგ. დახ, ე. წ. ოპოზიცია, რადგან ისინი ოპოზიციის წარმომადგენლები კი არა, მეამბოხეები არიან. სხვებისგან, პოლიციოსებისგან, განსხვავებით, მე ამას ხმა-მადლა, მორიდების გარეშე ვიტყვი. აი, ეს მეამბოხეები იბრძვიან მასონური ამერიკისა და მასონური ევროპის მხარდაჭერით. ისინი აწვდიან მათ იარაღს და ეკონომიკური კანონიერ ხელისუფლებას, რომელსაც ხალხი უჭერს მხარს. და ასე ვრძელდება ეს უსამართლო ბრძოლა. ვიმეორებ: ამერიკა ანადგურებს ყველა, ვინც არ ემორჩილება მას და არ ხდება მისი მარიონეტი. ამერიკას სურს, მოისყიდოს ყველა ქვეყნის ხელისუფლება, თუკი ვერ მოისყიდის და თავისი ქვეყნის ინტერესების გამტარებელი პრეზიდენტი ჰყავს ქვეყანას, მაშინ ის ცდილობს, დაამხო ის ხელისუფლება და ის პრეზიდენტი, როგორც გამსახურდია დაამხო 20 წლის წინ საქართველოში, როგორც ასადს ამხობს დღეს სირიაში.

და როგორ მოვწონთ ის ფაქტი, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც, შეგარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებათა მსგავსად, მონური აღტაცებით აქიცინებს კუდს ვაშინგტონის წინაშე?

კუდსაც აქიცინებს და ამერიკის ბრძანებებსა და მითითებებსაც არანაკლები მონდომებით ასრულებს. დღესაც იგივე ხდება, რაც რამდენიმე წლის წინ ხდებოდა - მარიონეტი ხელისუფლებაა დღეს საქართველოში. მე არ ვახსენებ სააკაშვილის ხელისუფლებას ივანიშვილის ხელისუფლებისგან. ივანიშვილი ამერიკის პოლიტიკას ახორციელებს საქართველოში და მის ინტერესებს იცავს, შესაბამისად, ივანიშვილი იგივეა, რაც სააკაშვილი. და

ეს კოაბიტაციაც ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია იმისა, რომ ისინი ერთობლივად ემორჩილებიან ამერიკას და მის ინტერესებს ახორციელებენ საქართველოში.

სამწუხაროდ, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ დარჩა მოტყუებული, ორივე ძალა მოგებული დარჩა არჩევნებით, „ოცნებამ“ შეიყვანა პარლამენტში ისეთი პარტია, რომელსაც 1% მხარდაჭერაც კი არ აქვს ქართველ ხალხში, ეს არის რესპუბლიკური პარტია. ხალხს სურდა, მოეცილებინა როგორმე სააკაშვილის რეჟიმი, თუმცა საბოლოოდ ქართველი ხალხი დარჩა მოტყუებული, მაგრამ ხალხი ასეთ ხელისუფლებას ნამდვილად არ მიიღებს. მე ღრმად მჯერა და მწამს, რომ ხალხი უკვე გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ ამერიკის ინტერესები არ შეესაბამება ქართველი ხალხის ინტერესებს და ისინი იბრძოდნენ ისევე, როგორც იბრძოდნენ უწინ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის. ხალხმა მრავალი წლის წინ იმისთვის არ დაღვარა სისხლი, რომ ამერიკის დიქტატის ქვეშ ყოფილიყო. ქართველი ხალხს არავის დიქტატის ქვეშ ყოფნა არ სურს.

ივანიშვილი რომ მიდის პოლიტიკიდან და რესპუბლიკელებს გვიტოვებს, ამაზე რას ფიქრობთ?

ეს მიხანმომართულად ხდება იმიტომ, რომ ივანიშვილმა შეასრულა თავისი დავალება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ივანიშვილს ამერიკელებმა დაავალეს, ხელისუფლებაში მოეყვანა რესპუბლიკელები, რომელთაც იგივე იდეოლოგია და ინტერესები აქვთ, რაც „ნაციონალებს“, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, ეს ერთი და იგივე ძალაა, უბრალოდ, სხვადასხვა სახელი აქვთ, ორსახიანი იარუსია დღეს ხელისუფლებაში. ეს ორი ძალა სხვადასხვა სახელით ქართველი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ივანიშვილი მიდის იმიტომ, რომ მან უკვე შეასრულა ამერიკის დავალება - მოიყვანა ამერიკისთვის მისაღები „ნაციონალობა“ ხელისუფლებაში. დააკვირდით, ვის უტოვებს ახლა საქართველოს? უტოვებს „ნაციონალებს“ და რესპუბლიკელებს. აი, მხოლოდ ეს იყო ივანიშვილის მიზანი და ამერიკელების ოცნება!

ესაუბრა ქეთი ხომერიკი

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას მსოფლიოს ჩემპიონატი კიულოში: სად არის ჩვენი წილი ოქრო?!



ნ ა ლ შ ი დენისოვთან მოგეგმავს მისთვის ის იყო საფინანსო პაკეტი, რომლის შემდეგაც ფსიქოლოგიურ-ემოციურად "გადიწვავს".

დენისოვმა მას 7 შეხვედრიდან 6 მოუგო, მაგრამ ლიპარტელიანის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ

ცხადია, წაგება გულდასაწყვეტია, მაგრამ ქართველი ამ სეზონით მთლად უკმაყოფილოც არ უნდა იყოს – ვეროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვერცხელი მოიპოვა...

ჯგუფური სამაია

ლიპარტელიანი ნახევარფინალამდე ისე მივიდა, მისი რეალური შესაძლებლობები ვერც შეეფასათ – სამივე შეხვედრა წმინდად მოიგო და ბოლომდე არც ერთში არ დახარჯულა. თავიდან თითქოს ცოტა შენელებული კი გვეჩვენა, მაგრამ როგორც მომდევნო ბრძოლებში გამოჩნდა, ძალებს ზოგადად, თორემ ფიზიკურად არ იყო ცუდ ფორმაში.

ერთი კი დავინახეთ ცხადად – ადრინდელივით წმინდა მოგებას, ლამაზი ილუზიებს არ ესწრაფვოდა, რაც ხშირად გამხდარა მისი მარცხის მიზეზი. ჭიდაობდა დინჯად, პრაგმატულად, დაკვირვებით, შედეგზე და არა – სანახაობაზე, ძალების დაზოგვით, ძირითადად ჩაგლებზე და არა – ფანდებზე...

ერთი სიტყვით, წლებმა თავისი ჰქნა და დადინჯდა, ახალგაზრდული ჟინი პრაგმატულობამ შეცვალა...

ლიპარტელიანი ჩემპიონატში მეორე წრიდან ჩაება, სადაც მეტოქედ, მოლოდინისამებრ, ნაცნობი ფრანგი ლუდოვიკ გობერი ერგო. ჩვენებურმა ის აქამდე ორჯერ დაამარცხა და ახლაც გართულებების გარეშე, ძალებზე თავისუფლად და მშვიდად მოუგო – თავიდან გაფრთხილებებით დაწინაურდა (1-2), მეოთხე წუთის დასაწყისში კი საგაზარედ ამოუსვია.

ანგარიშის შენარჩუნება უკვე დროისა და ტექნიკის საქმე იყო, რაც ლიპარტელიანმა წარმატებით შეძლო სწორი ჩაგლების ხარჯზე – ასწრებდა მეტოქეს და არ უთმობდა ინიციატივას.

მეორე პაექრობაც იმავე სცენარით დაიწყო გერმანელ მარკ ოლენტალთან – დასაწყისში ორივე მსწრაფლ გააფრთხილეს, მაგრამ ჩვენებურმა სწორი ჩაგლებით მეორედ გააფრთხილებინა მეტოქე, წუთნახ-

ევარში კი მოგვერდით დაიპოვნა.

მეოთხედფინალში მის წინ შედარებით მაღალი, ათლეტური და ჯანიანი შეველი იოაკიმ დვარბი აღიმართა, მაგრამ ლიპარტელიანს მასთან ჯაჯგურში ენერჯია არ დაუხარჯავს. ალბათ იმიტომაც, რომ ნახევარფინალში დენისოვი ელოდა. ამიტომ ჩვენებურმა შეველი ტაქტიკურად დაჯაბნა, გაფრთხილებებით მოახსენვეინა.

სატურნირო ამბავი

როს საჭიდაო კომპლექსს 30 აგვისტოსაც დაემუქრა "ჩამონგრევის" საფრთხე – ოლიმპიურმა პრიზიორმა მაირა აგუიარმა ბრინჯაო მოიპოვა და დარბაზშიც იქუხა... ეს მისი მეხამე მედალია მსოფლიოზე, თუმცა ჯერ ოქროს ვერ შეწვდა.

ბრაზილიელები მხოლოდ ქალებით თუ გაიხარებენ – სამივე ჯილდო მათი მონაპოვარია, თორემ ვაჟები უმედლოდ რჩებიან.

ვაჟთა შორის სენსაციები არ მომხდარა – ოთხივე მედალოსანი წონის ლიდერია, ქალებში კი ორივეგან მოულოდნელი ჩემპიონები ვიხილეთ.

70-ში ისეთი სახელის მქონე ქალმა მოიგო, საქართველოსა და სლავურ ქვეყნებში ბევრ ვაჟს გააბრაზებს – კოლუმბიელმა იური ალევარმა, რომელიც ფინალში გამარჯვების შემდეგ დახოქილი და ხელაპყრობილი დიდხანს უხდიდა მედალოსანს რომელიმე წმინდანს დახმარებისთვის...

78 კილოგრამში ჩრდილოკორეელმა კიონგ სოლმა გაიმარჯვა და ჯერ ბევრი იწვილა, მერე – იტირა. ქალებში უცნაური ჩემპიონატი გამოდის, რადგან მათი ახიელი ლიდერები – იაპონელები, ჩინელები, სამხრეთკორეელები უჩემპიონოდ რჩებიან, ოქროებს კი მეორეხარისხის ოვანი გუნდები – მონღოლეთი, ჩრდილოეთ კორეა, ისრაელი და კოლუმბია ინაწილებენ.

მსოფლიოს ჩემპიონატი 1 სექტემბერს დასრულდა გუნდური პირველობით.

მომდევნო ტურში საქართველოს ნაკრებზე რეცხვის მედალს დასჯერდა – ავთანდილ ჭრიკიშვილის (81) შემდეგ, ამჯერად ის ვალერი ლიპარტელიანმა (90) მოიპოვა.

ბედის ირონიით, მან მთელი ტურნირი ძლიერად ჩაატარა, ყველაზე სუსტად კი ფინალში გამოვიდა – ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ, კუბელ ეშლი გონსალესთან.

გაორებულ გრანობას გვიტოვებს ეს შეჯიბრება – პირველი დღეების კრახის შემდეგ ზედიზედ ორ ფინალს ძნელად თუ წარმოვიდგენდით, მაგრამ ასე დაკარგული ოქროებიც გულდასაწყვეტია.

2007 წლის შემდეგ მეორედ ვიჭიდავეთ ორი ფინალი მსოფლიოზე, მაგრამ დუბლი ვერც ამჯერად შევასრულეთ...

როს დე ვანეიროში ვალერი ლიპარტელიანმა "ჯადო ახსნა" რუს კირილ დენისოვს, ვინც ნახევარფინალში ბრწყინვალედ დაჯაბნა, მაგრამ კუბელმა გაუთანაბრა პირადი ანგარიში – 2:2. ჩვენებურმა მას წლეულს დამაჯერებლად მოუგო პარიზის "დიდი მუზარადის" ფინალში, ახლა კი ვერაფერი მოუხერხა. ვეფიქრობთ, ამაში დიდი როლი ნახევარფი-

ფსიქოლოგიურად მობილიზებული გავიდა საჭიდაოდ. მით უფრო, როცა დენისოვიც ძლევამოსილად მივიდა ნახევარფინალამდე.

ლიპარტელიანმა მის დამარცხებას საფუძველი 30-ე წამზე ჩაუყარა – საქმის დასაგვირგვინებლად კი წუთნახევარიც არ დასჭირვებია. ამ მცირე დროში მეტოქეს ორი ვაზარი აართვა წელის წვეთივით ერთნაირი გდებებით – ამოსმულით მარჯვნიდან დასვა ორივეჯერ და ისე იღრიალა, თითქოს ფინალი მოეგოს.

სამწუხაროდ, კუბელთან ამ შემართების ნახევარიც არ გაჰყოლია – ვერც ინიციატივას დაეუფლა, ვერც ჩაგლებებს ასწრებდა და მეტი აქტიურობაც მართებდა. რამდენიც ჩაგლება სცადა, მეტოქემ კონტრშეტევით ყოველთვის ჩაუშალა.

ვეფიქრობთ, როცა გაფრთხილებებით ჩამორჩა, მერე მასაც ჩაგლებებით გაფრთხილებებზე უნდა აეტიდავა, თორემ ილუთს ვერაფრით აკეთებდა. ციდან ვარსკვლავები არც გონსალესს მოუწვევია, მაგრამ ზუსტად ისე იჭიდავა, როგორც აწყობდა. საბოლოოდ, მან ერთი გაფრთხილება მიიღო, ლიპარტელიანმა – ორი.

ცხადია, წაგება გულდასაწყვეტია, მაგრამ ქართველი ამ სეზონით მთლად უკმაყოფილოც არ უნდა იყოს – ვეროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვერცხელი მოიპოვა...

ეგარში კი მოგვერდით დაიპოვნა.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ამრია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შედენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

ბიძინა ივანიშვილი: „რუსეთი ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელია და ჩვენ ვსაჭიროებთ მასთან ნორმალურ ურთიერთობებს“



– რუსეთს აქვს თავისი ხელწერა, თავისი ქმედება და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა რადიო "თავისუფლებასთან" ინტერვიუში რუსეთთან ურთიერთობაზე საუბრისას განაცხადა. "ურთიერთობაში აბსოლუტურად პოზიტიური დინამიაა. მე აღვნიშნე, რომ პოზიტიური ნაბიჯები ორივე მხრიდან გადაიდგა, ამასთან აბსოლუტურად შეუსაბამობაში მოდის მავთულხლართების გადმოწევა, რასაც ცალმხრივად აკეთებს რუსეთი და ამით გაუგებრობებს იწვევს. ჩვენ ვცდილობთ, მაგრამ რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა და

მისი აღზრდის პრეტენზია მე არ მაქვს. რუსეთს აქვს თავისი ხელწერა, თავისი ქმედება აქვს და, რა თქმა უნდა, სამწუხაროდ, ეს ხშირად არ არის ისეთი, როგორც სურვილიც შეიძლება გვქონდეს ჩვენც და ევროპასაც. მაგრამ ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. უნდა ვიყოთ პრინციპულები, კონსტრუქციულები და დიპლომატიურები", – აღნიშნა ივანიშვილმა და იქვე დასძინა, რომ არსებული ვითარება სწორედ იმის შედეგია, რომ წინა ხელისუფლების მიერ რუსეთისა და რეალობისთვის ანგარიშის გაწევა არ მოხდა.

„ეს ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელია და ჩვენ ვსაჭიროებთ მათთან ნორმალურ ურთიერთობებს. რუსეთიც საჭიროებს საქართველოსთან ჯანსაღ ურთიერთობებს და, ჩემი გადმოსახედიდან, ისინიც აცნობიერებენ ამას. მაგრამ ამას არ უნდა ისტერიკული ყვირილი, გინება და იარაღის ჯდარხნი, რაც ხდებოდა ადრე. ამას უნდა ნაბიჯ-ნაბიჯ პრინციპული პოზიცია, დიპლომატია და მაქსიმალური მოთმინება. შედეგი იქნება ის, რომ ჩვენ რუსეთთან უნდა დავაღაგოთ ბოლომდე ურთიერთობები, დავებრუნოთ ტერორიზმიც და გადავიყვანოთ მეგობრობაში ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები", – განაცხადა საქართველოს პრემიერმა.

იუმორი

- იცი, სეროჟა საფრანგეთში იყო და ასე თქვა, სოფი ლორენმა გამოდიოდა.
- გაუღიმებდა, აბა რა, მე რამდენჯერაც სეროჟას შევხედავ, იმდენჯერ სიცილით ვებორდები.
- დედიკო, მართლა კომბოსტოში მიპოვე?
- კი, შეილო...
- კომბოსტო საიდან მოხვდა შენთან?
- მამაშენმა მომიტორია.

ქალაქიდან ჩასული აგრონომი სოფელად აგრონომს ირონიულად ეკითხება:

- და თქვენ ამტკიცებთ, რომ ამ ხიდან ორ ტონა ვაშლს კრეფთ?
- რა თქმა უნდა, არა, რა სისულელეა.
- რაა სისულელე?
- ის, რომ ამ ხიდან ვაშლს ვკრეფთ. ეს კარალიოკის ხეა.

ლოთი მამა მეხუთე ბოთლს ცლის:

- მამი, შეიძლება, ბოთლები ჩავაბარო და პური ვიყიდო? – ეკითხება შვილი.
- მიდი, შეილო, მიდი, მე რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდა?

კაცი სახლში ბრუნდება ღამით. გზად სასაფლაოზე მოუწია გაგება. მიდის და შიშით გული უსკდება. ხედავს, ვიღაც მოხუცი კაცი საფლავის ქვეს ამავრებს.

- უჰ, როგორ შემაშინეთ! მანდ რას აკეთებთ?
- ჩემს შვილს წლები არასწორად დაუწერია და ვასწორებ...

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: **თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული**

სარედაქციო საბუხი: **სარედაქციო საბუხი №01018002930**

ტელ. 234-32-95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანიას**

ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოლოყაშვილი**

ბაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ძოგალაია 599-34-37-27**

სარედაქციო საბუხი: **ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპალაშვილი, კლიმენტი შელია, ბივი სომხიშვილი, დავით ძოგალაია, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალაყაია (გალი)**

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე

WWW.saqinform.ge